გილოცავთ, მშვიდობიან 2025 წელს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

30 დეკემბერი ორშაბათი 2024 წელი №52 (9367) ფასი 40 თეთრი


## წინ ბედნიერი მომავალი გველოდება


### ბესიკ ამირანაშვილი

სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში




სრულიად საქართველოს და სამცხე-ჯავახეთის კარიბჭეს, ჩემ საყვარელ ბორჯომელებს ვულოცავ ახალ წელს. 2025 წელი თითოეული თქვენგანისთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ყოფილიყოს ეროვნული ერთიანობის, სიმშვიდის, იმედების გამართლების, მეტი სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, წინსვლისა და წარმატების წელი.

დღეს ჩვენ ერთად ვაცილებთ 2024წელს, რომელიც მარტივი არ იყო, ბევრი სირთულითა და რისკით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ იყო მრავალი წარმატება და პროგრესი ყველა მიმართულებით.

საქართველო თავისი უნიკალური კულტურითა და ტრადიციებით აუცილებლად გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და ქართველი ხალხის საერთო ეროვნული მიზანი მიღწეული იქნება!

მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მთელი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად, მუხლჩაუხრელად, უანგაროდ, საკუთარი პროფესიონალიზმითა და გულწრფელი სიყვარულით ემსახურა ქვეყანასა და მის ინტერესებს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას.

განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი მინდა მივულოცო ახალი წელი ყველა ბავშვს. მათთვის დღევანდელი დღე ზღაპრულ სამყაროს და ოცნებების ახდენას უკავშირდება. ჩვენი ვალია, რომ მომავალ თაობას ცხოვრების ღირსეული პირობები შევუქმნათ.

ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მშვიდობის, წინსვლის, სიკეთის მომტანი წელი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის!

## ახალი წელი წარმატებული და სასიკეთო იქნება


### ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი




ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო, მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი თქვენ და თითოეულ ჩვენს თანამემამულეს - საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

ვულოცავ - ექიმებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს, მასწავლებლებს, ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებულად უხარიათ ახალი წლის დადგომა, საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს, ყველას, ვინც თავდაუზოგავად და დაუღალავად შრომობს ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

2025 წელს, მე და ჩემი გუნდი, რა თქმა უნდა, თითოეული ბორჯომელისა და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომით შევძლებთ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა (რომელიც დიდი პოტენციალის მქონეა) ღირსეული ადგილი დაიკავოს დანარჩენი საქართველოს რუკაზე: კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, ტურისტული თუ ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამების მოზიდვისა და განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს, მოლოდინით უკეთესობისკენ, ცვლილებებისკენ, რომ დადგა სურვილების ასრულებისა და მიზნების განხორციელების დრო.

შობა და ახალი წელი - ეს ის დღეებია, როდესაც ყველა ივიწყებს დროებით დარდს, ტკივილს და თბილი გულით ხვდება ახალს. ახალი წელი ხომ ძველის დავიწყების და ახლის შემობრძანების სიმბოლოა.

ვიმედოვნებ, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!



ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში, მთავარი ნაძვის ხე და საახალწლო ილუმინაციები საზეიმოდ აინთო.

სტუმრების საახალწლო განწყობაზე “dram squlma” (სანტების ბენდი) და ანიმატორებმა იზრუნა.

## ერთსულოვნებით მეტს შევძლებთ


### დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე


ჩემო თანაქალაქენო, მთელი გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! კიდევ უფრო მეტი განვითარების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს 2025 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის!

ახალ წელს ახალი იმედებით ვხვდებით და გისურვებთ, რომ ყველა თქვენი მიზანი და ოცნება აგსრულებოდეთ, რაც მთავარია, მშვიდობიან და ერთიან საქართველოში გვეცხოვროს.

მიმდინარე წელმა დაგვანახა, რომ საქართველოსთვის მშვიდობა ფასდაუდებელი ფენომენია, ჩვენი ხელისუფლება კი მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის ყველაფერს აკეთებს!

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს 2024 წელი ბორჯომისათვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ჩვენს ქალაქში არაერთი ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ. სოციალური პროგრამების ფარგლებში რამდენიმე ათას ადამიანს დავეხმარეთ და ამდენივე ათეული კულტურული ღონისძიება ვაჩუქეთ ქალაქს... თუმცა, 2025 წელს ბორჯომის ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობისა და წინსვლისათვის კიდევ უფრო ეფექტური



პროექტების განხორციელებას გეგმავს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ 2025 წელი წარმატებული და ნაყოფიერი იყოს. აუცილებელია, რომ თითოეულმა ბორჯომელმა იგრძნოს, თუ როგორ ზრუნავს ადგილობრივი ხელისუფლება მათ კეთილდღეობაზე და უკეთესი ცხოვრებისეული პირობების შექმნაზე.

მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით ყველაფერს შევძლებთ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2025 წელს! ჯანმრთელობას, მშვიდობას, მატერიალურ კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2024 წლის 24 დეკემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

დეპუტატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირს, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელი ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი, 2025 წლიდან ამოქმედდება სოციალური დახმარების პროგრამა და დამტკიცდა დახმარების გაცემის წესი.

ასევე დამტკიცდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2025 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესი.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №8 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 მარტის №4 დადგენილებაში.

ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №41 დადგენილებაში.

განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა.

დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის მერიას თანხმობა მისცა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე.

გადაწყდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის წესით ნასყიდლიანი სარგებლობის ფორმით (იჯარით) გაცემის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიას თანხმობა მიეცა დაბა ბაკურიანში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით (იჯარა) გაცემის შესახებ, ამასთან ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წლის 02 თებერვალს გაფორმებულ №41 იჯარის ხელშეკრულებაში.

ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ივლისის №77 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №14 დადგენილებაში.

გადაწყდა დაბა ბაკურიანში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს (ქუჩა, ჩიხი) სახელწოდების მინიჭების შესახებ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს საკრებულოს 2025 წლის I კვარტალის სამუშაო გეგმა.






## საახალწლო დასვენების დღეებია

საახალწლო დასვენების დღეებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება - სადღესასწაულო დღეებს დაემატა 5 დღე (3,6,8,9,10 იანვარი) დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს პრემიერ მინისტრი.

# ერთი წლის მონაგარი!

**2024 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს**

**მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება და მისი სრულყოფა წარმოადგენდა.**

**შესაბამისად ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებიც სწორედ ამ მიმართულებას მოხმარდა.**

**ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯება 25 399 935 ლარი.**

**მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 12 804 373 ლარი.**

**რეგიონალური განვითარების ფონდიდან – 11 232 133 ლარი.**

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის – 474 000 ლარი.**

**სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის – 889 429 ლარი.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმატებით დასრულდა:**



№ 6 საჯარო სკოლის რეაბილიტირებული შენობა

### განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები.

ქალაქ ბორჯომში წარმატებით შესრულდა რუსთაველის ქუჩის №107 შენობის სახურავის, წმინდა ნინოს ქუჩის №7 და მესხეთის ქუჩის №5 მდებარე შენობების, დაბა წაღვერში სასაწყობო შენობის, სოფელ ბალანთაში რიტუალების



სახლის სამშენებლო სამუშაოები.

**2024** წელს დასრულდა რუსთაველის ქუცჩის №85,№91 და №93 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია.

**ლიკანში**, მესხეთის ქ. №46-ში დამთავრდა არსებული ავტობაზის აღდგენა-განახლების სამუშაოები;

**ბინათმესაკუთრეთა** ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა მესხეთის ქუჩის №29, რუსთაველის ქუჩის №7 მდებარე შენობების ფასადების და სახურავების განახლება.

**ალმაშენებლის ქ**. №22 და ვაშლოვანის ქუჩის №52 მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

**მესხეთის ქუჩის** №29, თორის ქ. №116, №112 და 120-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებში განახლდა სამგზავრო ლიფტების მონტაჟის სამუშაოები.

**აღნიშნული** სამუშაოებისათვის დაიხარჯა 769 966 ლარი.

**საყრდენი კედლების** მშენებლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

**საყრდენი კედლები** მოეწყო ერეკლეს ქუჩის



№3 ჩიხში, რუსთაველის ქუჩის №107-ში, დაბა ახალდაბის ორ ლოკაციაზე, სოფელ ყვიბისში ე.წ. ,,კვახიანის“ ღელეზე, ბორჯომში ,,ცოფიანი ღელის“ არხის პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლად, 300 არაგველის ქუჩაზე.

**ამ სამუშაოებისათვის** დაიხარჯა 1 470 906 ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დიდი მოცულობის საგზაო სამუშაოები შესრულდა.

### საგზაო სამუშაოები

**საგზაო სამუშაოები** და დასახლებული სოფლებისა და უბნების შიდა გზების რეაბილიტაციას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა .

**მათ შორის აღსანიშნავია:**

**ბაკურიანის**, ანდეზიტის, სოფელ ყვიბისის, შიდა საუბნო გზების, სოფელ პატარა მიტარბში მისასვლელი გზის, ახალდაბაში ბორჯომის ქუჩის შიდა საუბნო გზის, სოფელ მოლითიდან ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის, სოფლების სადგერის, ტბისა და ცემის შიდა გზების მოწესრიგების, სოფელ კორტანეთში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

**გარდამავალი** ობიექტების სამუშაოები 2025 წელსაც გაგრძელდება, მათ შორის: სოფელ მოლითსა და ტაბაწყურის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის მეორე ეტაპი, სოფელ ცემში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, სოფელ ყვიბისში ბერისსაყდრების მონასტრამდე მისასვლელი გზის დამთავრება.

**ახალდაბაში** გაგრძელდება ბორჯომის ქუჩის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია, ასევე მუნიციპალიტეტის ცენტრალური ქუჩების გზის გამყოლი ღობეების აღდგენა-განახლება.

აღნიშნული გზების რეაბილიტაცია მოხდება 13 372 მეტრის მონაკვეთზე, სულ საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისათვის და განახლებისათვის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 1 749 000 ლარი.

გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის და საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ფასადების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის გამოიყოფა 1 189 453 ლარი.

### სკვერებისა და ბავშვთა მოედნების განახლება

**ამ მიზნით** 2024 წელს მნიშვნელოვანი საამშე-




ნებლო ღონისძიებები განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ყველა ობიექტის ჩამოთვლა შეუძლებელია. მუნიციპლიტეტში სკვერების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 3 011 140 ლარი;

**წაღვერში** წარმატებით მიმდინარეობს დასასვენებელი პარკის რეაბილიტაცია, რომელიც 2025 წელს დამთავრდება;

**2024 წელს** დამთავრდა სკვერის მოწყობა სოფელ ტბაზე, ბორჯომში მესხეთის ქუჩის №39-ის მიმდებარედ დამთავრდა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, პატარა მიტარბში მოეწყო ფანჩატური.

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობა

**ამ მუხლის** სარეაბილიტაციოდ დაიხარჯა 1 396 057 ლარი. 33 სოფელში განხორციელდა 39 პროექტი. კერძოდ: სკვერების რეაბილიტაცია განხორციელდა 11 სოფელში.

სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 9 სოფელში;

გზებისა და გზისპირა მოსაცდელების - 7 სოფელში;

ხიდების აღდგენა-გამაგრება - 2 სოფელში;

გარე განათების ქსელი - 1 სოფელში;

სანიაღვრე ქსელი და სასმელი წყლის სისტემა მოეწყო - 2 სოფელში;

სასაფლაო შემოილობა - 1 სოფელში;

სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყო - 6 სოფელში;

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა - 369 758 ლარი:

### პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

**მგზავრთა** მოსაცდელები მოეწყო 3 ლოკაციაზე - წაღვერში, ბორჯომის №4 საჯარო სკოლასთან და თორის ქუჩაზე;

**ახალდაბაში** მოეწყო საფეხმავლო კიბეები;

მაღალმთიან სოფლებში - გუჯარეთში, მაჭარწყალზე, წინუბანში და თორში დამონტაჟდა მზის ელექტრო დანადგარები;

### სამუშაოები მიმდინარეობს:

**დვირის**, ჭობისხევის, ტბა-ცემის გარე განათების ქსელის მოსაწყობად.

**ქ. ბორჯომში** გრ. ხანძთელის ქ. №30-ში მდებარე დევნილთა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და კორპუსთან მისასვლელი კიბის მოსაწყობად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის 1 269 254 ლარია გამოყოფილი, ხოლო სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 926 429 ლარი. ამ თანხით ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე მოეწყო სტიქიის შედეგად დაზიანებული მტკვრის ნაპირსამაგრი კედელი.

**სოფელ საკირეში** დასრულდა ნაპირსამაგრი კედლისა და ხიდის რეაბილიტაცია;



**ახალდაბაში** აღდგა სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლი და ა.შ.

### სკოლების რეაბილიტაცია

**2024 წელს** მუნიციპალიტეტს განახლებული ორი სკოლა შეემატა. კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბორჯომის №6 და დვირის საჯარო სკოლებს. ბაკურიანში მიმდინარეობს ახალი სკოლი მშენებლობა.

### სპორტული მოედნების რეაბილიტაცია

**ბორჯომში,** ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე დამთავრდა სპორტული კომპლექსის მშენებლობა;

**ახალი უბნის** №4 საჯარო სკოლის მიმდებარედ მოეწყო სპორტული მოედანი;

**მესხეთის ქ.** №29-ში დამთავრდა კალათბურთის მოედნის რეაბილიტაცია;

**სოფელ ტიმოთესუბანში** განახლდა სპორტული მოედანი, ასევე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქში არსებულ სპორტულ მოედნებს;

**2025** წელს დამთავრდება ქალაქის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

**სულ** სპორტული მოედნების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 2 581 400 ლარი;

**მნიშვნელოვანი** სამუშაოები შესრულდა მუნიციპალიტეტის კულტურის ქსელის ობიექტებში. მათ შორის აღსანიშნავია ლიკანში არსებული კლუბის შენობის დემონტაჟი და სპორტული მოედნის მოწყობა, ჭობისხევის კლუბში მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

**კულტურის** სფეროს დაწესებულებების სარეაბილიტაციოდ დაიხარჯა 706 600 ლარი.



**მასალები მოგვაწოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნინო გიუაშვილმა.**

აქტუალური ინტერვიუ

# აღმშენებლობის პროცესი გაგრძელდება



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 2024 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების შესასრულებლად. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ცალკეულ სამშენებლო ორგანიზაციებმა არაერთი ობიექტი დროულად და ხარისხიანად დაამთავრეს, რისთვისაც ნამდვილად იმსახურებენ საზოგადოებიდან შექებას და ღირსეულად დაფასებას.**

**რედაქცია დაინტერესდა 2025 წელს დაგეგმილი პროექტებით, რომელთა შესრულებით კიდევ უფრო სრულყოფილი და ლამაზი იქნება ჩვენი ქალაქი და დაბა-სოფლები.**

**ახალი წლის წინა დღეებში სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, ბატონ გიორგი ტაბატაძეს.**

**● ბატონო გიორგი წინასწარ გილოცავთ ახალ, 2025 წლის შემობრძანებას და გისურვებთ წარმატებებს, როგორც სამსახურეობრივ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში.**

**ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ, რომელი ახალი ობიექტი დაამშვენებს ჩვენ ქალაქს და დაბა-სოფლებს 2025 წელს?**

- 2025 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის უპირველეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი სრულყოფა წარმოადგენს, რისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული თანხები სოლიდურია და 17 883 300 ლარს შეადგენს. ამ თანხით დაგეგმილია მთელი რიგი ობიექტების კეთილმოწყობა-მშენებლობები.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების კუთხით ვითვალისწინებთ მოლითიდან ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულებას. სოფელ ცემში შიდა საუბნო გზების, ყვიბისიდან ბერისსაყდრების მონასტრამდე მისასვლელი გზის მეორე მონაკვეთის რეაბილიტაციას.

წაღვერისა და ტიმოთესუბნის გზების კეთილმოწყობას. ახალუბანში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არსებული ჩიხების და ნეძვის მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.

ბორჯომში რაზმაძის ქუჩის კეთილმოწყობას.

სოფელ ციხისჯვარში ბერი გაბრიელ სალოსის ტაძრამდე მისასვლელი გზის მოწესრიგებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალური ქუჩების ღობეების აღდგენა-განახლების, ხოლო რობაქიძის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობას.

ასევე დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე სისტემების, გარევიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერებისა და სიჩქარის რადარების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

მომავალი წლის პროექტი ითვალისწინებს ბალანთის და ჭიხარულის სასმელი წყლის რეაბილიტაციას, ცემში კანალიზაციის ქსელის მოწყობას, ტბაზე წყალარინების ქსელის რეაბილიტაციას.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ფასადების რეაბილიტაცია დაგეგმილია თორის №6-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის ფასადისა და სახურავის განახლება, ავტოსადგურში სველი წერტილის მოწყობა, რუსთაველის ქუჩის გარე განათების ქსელის სამუშაოების დამთავრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის გათვალისწინებით საყრდენი კედლების რეაბილიტაციას ვითვალისწინებთ გურამიშვილის, 300 არაგველის, ასევე ნიკოლაძის ქუჩებზე.

დიდი მოცულობის სამუშაოებია გათვალისწინებული სკვერების, სპორტული მოედნებისა და კულტურული დანიშნულების სარეაბილიტაციოდ. ახალდაბაში ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ მოეწყობა სკვერი და სპორტული მოედანი. წაღვერში დამთავრდება პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გუჯარეთის გზაზე დაიდგმება ფანჩატური, ცემში მოეწყობა გადმოსახედი, ბორჯომში, გურამიშვილის ქუჩაზე მოეწყობა სკვერი და გადმოსახედი, განახლდება მუსიკალური სკოლის სკვერი.

ბორჯომში დამთავრდება ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ტიმოთესუბანში და სადგერში მოეწყობა სპორტული მოედნები.

კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების კუთხით გათვალისწინებულია, ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის №107-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, სადაც ბინას დაიდებს სპორტული სკოლა და ცენტრალური ბიბლიოთეკა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა გათვალისწინებულია სხვა სამუშაოები.

რაც შეეხება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამას, იგი მეტად მრავალფეროვანია და ახლო მომავალში ვისაუბრებთ. მწამს, სოციალური პროგრამის სიახლეები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტას.

და ბოლოს, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი - 2025 წელი მუვულოცო ბორჯომის მერიის მოსახლეობას. მშვიდობა, განვითარება, სიკეთე, ბედნიერება და სიხარული არ მოკლებოდეთ ოჯახებში. მომავალში ნამდვილად გვეამაყოს ჩვენი ქალაქის, დაბა-სოფლების კეთილმოწყობით და აღმშენებლობით.

ესაუბრა **ვალერიან ლომიძე.**

# საახალწლოდ გაზეთ „ბორჯომს“

**თითქმის საუკუნეა
გაიარე ბრძოლით, შრომით,
თუმცა დღესაც ფეხზე დგახარ
ბორჯომელთა თანადგომით.
პაწაწინა გაზეთი ხარ,
მაინც გვამცნობ ქვეყნის ამბებს.
გასაკილავს მუდამ კიცხავ,
საქებარს კი მუდამ აქებ.
ბევრ ქარცეცხლში გაგივლია,
თუმც ფარ-ხმალი არ დაყარე.
არც თუ ისე ადვილია,
ცხოვრების გზას სწორად გაყვე.
მართლის მთქმელსა შეკაზმული]
უნდა ყავდეს მუდამ ცხენი.
შენ არ იბრძვი არა ხმლითა,
მუდამ იბრძვით კალმის ენით.
არც თუ ისე ადვილია,
რომ სიმართლეს ემსახურო,
მართალ სიტყვას ძალა რომ აქვს,
ის არა აქვს მძიმე უროს.
ტყვიას კაცი არ მოუკლავს,
თუმც მოუკლავს კაცის ენას,
ჟურნალისტებს უნდა ქონდეთ
კარგი ხედვა, კარგი სმენა.
გვახსოვს ბევრი ჟურნალისტი,
რედაქტორიც - დიდებული,
ვინც გაზეთის გამოცემას
ანაცვალა სული, გული.
კომუნიზმსაც უმღეროდი,
უძრაობის ხანაც ნახე,
თუმც არსდროს დაგიკარგავს
ჟურნალისტის ნაღდი სახე.
ნათქვამია, რომ მართალი
კაცი ქვაზე მაგარია.
მკითხველს გულით რომ უყვარდე,
გაზეთისთვის მთავარია.
საუკუნეც მოვა მალე,
რაღა დარჩა - 6 წელი,
ფუტკარივით გაგიმრავლდეს,
რესპოდენტი და მკითხველი.
არასდროს არ უღალატო,
ბეჭდვით მედიის ქარტიას,
არასდროს არ ემსახურო
არც მეფეს და არც პარტიას.
და როცა ხალხს ეყვარები,
გამარჯვებაც ამას ჰქვია.
ახალ წელსაც მოგილოცავ,
შენ ხომ ხალხის გაზეთი ხარ,
ხუთშაბათიც გათენდება,
ისევ გვამცნობ ცოცხალ ამბებს.
მჯერა, ყველა ბორჯომელი
რომ გაგიღებს სახლის კარებს.
ყველა ხოტბა, ყველა ქება,
შენზე იყოს ალალიო -
ემსახურე ამ ქვეყანას
წლები, წლები მრავალიო!**

**ჯემალ ბიბილური.**

*გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“,*

# ჩემი ოჯახი ყველაზე წმინდა და ძვირფასია

**ახალი წლის წინა დღეებში ქალბატონ მაკა მანჯავიძეს სამსახურში ვეწვიეთ და მისი ყოველდღიური საქმიანობით დავინტერესდით. იგი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მას როგორც საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებასა და მრავალშვილიან დედას საინტერესო კითხვებით მივმართეთ და მიუხედავად მისი გადატვირთული გრაფიკისა, სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე:**

**როგორია მაკა მანჯავიძის ერთი დღე?**

- დილა საკმაოდ ადრიანად (06:30 საათიდან) იწყება, ვცდილობ, სამსახურში წასვლამდე მოვასწრო საოჯახო საქმეები, შემდეგ იწყება შვილების მომზადება სასკოლოდ, ბოლოს ზრუნვა საკუთარ თავზე და მივდივარ სამსახურში. სამსახური ჩემთვის ის ადგილია, სადაც თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ, გვერდით მყავს საოცრად კარგი ადამიანები, სიამოვნებას და სიმშვიდეს მგვრის მათ გვერდით მუშაობა. ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს და რომელსაც ვფიქრობ, ერთგულად ვემსახურები. არ ვცხოვრობ რუტინულად, ჩემთვის



**დოსიე: მაკა მანჯავიძე დაიბადა 1979 წლის 13 აგვისტოს ქ. ბორჯომში, საშუალო განათლება ბორჯომის №6 საშუალო სკოლაში მიიღო, სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში. 2001 წლიდან სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდა. ამჟამად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე - ზურაბ კობალაძე და ოთხი შვილი - ნინო, ლიზი, რევაზი და დემეტრე.**

ყოველი დღე განსხვავებული და საინტერესოა. ოჯახში დაბრუნებული მხოლოდ დედა და დიასახლისი ვარ.

**თქვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობის პერიოდში, რომელ პროექტებს გამოყოფდით, რაც ბორჯომის მოსახლეობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანია?**

- საკრებულოს უფლებამოსილებები საკმაოდ ვრცელია და აღნიშნულს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს. თუმცა, გამოვყოფდი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტებისა და სკვერების სახელდებას, რომლის ფარგლებშიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელდა სოფლების ყვიბისისა და ტბის თემებში შემავალი სოფლების (ჯამში 11 სოფელი), ასევე უსახელო სკვერების დამისამართება, რაც ბორჯომის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია, არ შემიძლია არ გამოვყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივა და პროექტი, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში გამოიცა „ბორჯომის საპატიო მოქალაქეები“ წიგნის პირველი ნაწილი. წიგნი ეძღვნება ჩვენი ქალაქისათვის გამორჩეულ ადამიანებს, რომელთა ღვაწლი ბორჯომისა და საქართველოს წინაშე ფასდაუდებელია. წიგნში ამ ადამიანების ბიოგრაფიული ცნობებია თავმოყრილი.

**როგორია მაკა მანჯავიძე, როგორც დედა და მეუღლე?**

- ჩემი ოჯახი ყველაზე წმინდა და ძვირფასია, როგორი ვარ? უსაზღვროდ მოსიყვარულე და თბილი, ოჯახის შეფასებით სითბოს და სიყვარულს ემატება სიტყვები „მკაცრი, მაგრამ სამართლიანი“ ვარ, საკმაოდ მომთხოვნი, ემოციურიც, ემოცია კი ადვილად შესამჩნევია, ალბათ ამიტომ დავიმსახურე ასეთი შეფასება ოჯახისგან. მიყვარს დასვენების დღეები, მათთან ერთად გატარებული შაბათ-კვირა.

**ახალი 2025 წელი ახლოვდება. როგორია თქვენი ოჯახური ახალი წელი?**

- ჩემი ოჯახის ახალი წელი ტრადიციულია, საახალწლო სუფრა, უამრავი ტკბილეული, განათებული ნაძვის ხე, ჩემი შვილების გაბრწყინებული თვალები, საახალწლო საჩუქრების მოლოდინში, „მეკვლეს“ მობრძანების შემდეგ იწყება ზეიმი და მხიარულება, ოჯახის ტრადიცია გრძელდება ჩემი ძმის ოჯახში, სადაც დედა ყოველთვის გველოდება.

**რას ისურვებდით ახალი 2025 წლისათვის?**

- ვისურვებდი მშვიდობას, ჩემი ქვეყნის ძლიერებას, გვიყვარდეს ერთმანეთი უანგაროდ, უპირობოდ, ვაჩუქოთ ერთმანეთს ბევრი ღიმილი და სითბო.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე.**

# საახალწლოდ გაიხსნა ახალი მარკეტი




**ახალი წლის წინა დღეებში, ბორჯომში, რიგით მე-500-ე, განსხვავებული ფორმატის სუპერმარკეტი - „მაგნიტი მაქსი“ გაიხსნა. კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური პროცესების ფონზე, გახსნა შეზღუდული ფორმატით ჩატარდა.**

**„მაგნიტი მაქსი“ მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე, რომელიც მრავალი წელია ცნობილია, როგორც შესყიდვების ცენტრი. ეს ადგილი ბორჯომელებისთვის ნაცნობი და მოსახერხებელია, რაც ადგილობრივებსა და დამსვენებლებს დამატებით კომფორტს შეუქმნის. დაახლოებით 1 000 კვ.მ ფართობზე განთავსებული სივრცე კი ოჯახისთვის ყველა საჭირო პროდუქტს გააერთიანებს და მომხმარებელს 24/7-ზე მოემსახურება.**

**ადგილზე, ასევე წარმოდგენილი იქნება „მაგნიტის წარმოების“ მზა კვების პროდუქტების ხაზი - საკონდიტრო ნაწარმი, სალათები, სენდვიჩები, პურ-ფუნთუშეული და თონე. მომხმარებელი ასევე შეძლებს, მისთვის სასურველი პროდუქტი, ადგილზე, კომფორტულად მოწყობილ სივრცეში დააგემოვნოს. შეგახსენებთ, რომ „მაგნიტის“ წარმოებაში დანერგილია HACCP-ის სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასურსათო ჯაჭვში, პირველადი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე, უზრუნველყოფილია საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და უმაღლესი ხარისხი.**

**სუპერმარკეტის შესასვლელში განთავსებული ყავის აპარატი (ტაკე-აწაყ) კი მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მარტივად და სწრაფად თან გაიყოლოს მისთვის სასურველი სახეობის არომატული ყავა.**

# ვლადიმერ სტეფანიანი: ,,მიზანდასახულობა და მუხლჩაუხრელი შრომა წარმატების საწინდარია“

**,,კრისტალის“ საკურორტო ზონა მთელ საქართველოშია ცნობილი, როგორც სრულყოფილი დასვენების ადგილი და მისი პოპულარობა კარგა ხანია ჩვენი ქვეყნის მასშტაბებსაც გასცდა. ამის შესახებ კომპანიის დამფუძნებელი ბატონი ვლადიმერ სტეფანიანი გვესაუბრება.**

- ყველაფერი ბავშვობიდან იწყება. გინდა რომ ცხოვრებაში, რომელიც წინ გაქვს, რაღაცას მიაღწიო. მომავალში ზოგი ბიზნესმენი გახდება, ზოგი მომღერალი ან სპორტსმენი. ასე თანდათანობით იკვეთება ბავშვობის ოცნებების ასრულების გზები. გააჩნია, ვინ საით მიისწრაფის. მე ეტყობა უფრო მძიმედ მივიწევდი წინ, რადგან ჩემი მიზნები იყო ბიზნესის მიმართულება. ბევრი შრომა მიწევდა. შრომაც უნდა იყოს მიზნობრივი და იდეის განხორციელებისაკენ მიმართული. დრო იცვლებოდა, რაღაცას უნდა მოერგო და შეეგუო. საბერძნეთში ყოფნის ხუთი წელი ღირსეულად გავიარე. განვითარების პირველ საფეხურზე მყარად დავდექი. სამშობლოში დავბრუნდი. ზუსტად აქ გამოიკვეთა ჩემი კონკრეტული მიზნები, რომლებიც იმ დროისთვის გრანდიოზული იყო. ის ჩემი პირველი პატარა სასტუმრო იყო მორიგი ეტაპი და ალბათ საძირკველი მომავალი ჩემი სასტუმრო ბიზნესის განვითარების საფუძველი.

ზოგადად, მე, ამ ეტაპზეც ვერ ვიტყვი თამამად, რომ დიდი ბიზნესი მაქვს, ეს საშუალო სიდიდის ბიზნესია, საინტერესო და სამომავლო განვითარებაზე გათვლილი. შეიძლება მომავალში ეს ახლა არსებული ბიზნესი მოგვეჩვენოს პატარად, იმდენად განვვითარდეთ, გავზარდოთ მასშტაბები.

რას წარმოადგენს ჩვენი ბიზნესი დღეს. ეს არ არის ცალკე აღებული სასტუმრო ბიზნესი, ეს არის საკურორტო ზონა, სადაც თავმოყრილია სასტუმროები, სპა ცენტრები, აუზები, სხვადასხვა ტიპის რესტორნები, საბაგიროები და სასრიალო ტრასები, ატრაქციონები, ყინულის მოედანი და ა.შ. ეს პროექტიც ფაქტიურად დავასრულეთ. ამ პროექტმა ასევე დიდი როლი შეასრულა კოხტა - მიტარბის სასრიალო ტრასების გაერთიანება-დაკავშირებაში. ამით ბაკურიანი უფრო მეტად საინტერესო კურორტად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით იმ ტიპის ტურისტებისთვის ვინც დიდმასშტაბიან ევროპულ კურორტებზე სიარულს არიან დაჩვეულები. ამ ეტაპზე დასახვეწი და უფრო მაღალ დონეზე ასაწევი



გვაქვს მომსახურების ხარისხი.
ამის შემდეგ ჩვენ ასე თუ ისე შევძლებთ კონკურენცია გავუწიოთ ევროპულ სათხილამურო კურორტებს. თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის, ან თურქეთის კურორტებს. თუ არ ვიქნებით კონკურენტუნარიანები, ვერც განვვითარდებით.

იმ კურორტს, რომელსაც მხოლოდ დაბალი ფასით სურს მოიზიდოს ტურისტი, მომავალი არ აქვს, ის სტაგნაციას განიცდის. ჩემი აზრით, როცა მე ჩემს საკურორტო ზონას ვავითარებ, ეს იქნება გადამდები სხვებისთვის. როდესაც მოწესრიგებულია საკურორტო ზონა, საბაგიროები სტაბილურად მუშაობენ, გათოვლიანების სისტემას პრობლემები არ აქვს, ნელ-ნელა დაბაც მოწესრიგდება, ქუჩებს და ძველ შენობებს ჩაუტარდება რეაბილიტაცია და ა.შ. ზუსტად ამ ეტაპზეა ახლა ბაკურიანი, სადაც ჩვენ კერძო ბიზნესს ვანვითარებთ, სახელმწიფო კი მთლიანად ბაკურიანს და ასევე სხვა კურორტებს ავითარებს. ამ ყველაფერს ჩვენ კრედიტებით ვაკეთებთ. ჩვენი პარტნიორები არიან სხვადასხვა ბანკები. კრედიტის აღება არ არის საშიში, თუ ის დაგეგმილ პროექტს მოხმარდება. ყველანაირი ბიზნესი ვითარდება გეგმიურად. გეგმის გარეშე ვერც ქვეყანა აშენდება, ვერც ბიზნესი განვითარდება. როდესაც გეგმა შედგენილია, შენ ზუსტად იცი, რომ სადღაც სირთულეები იქნება და ამას მომზადებული ხვდები, მობილიზებული ხარ. სირთულეების გადალახვის გარეშე მწვერვალზე ვერ ახვალ. როდესაც შედეგს მიაღწევ, ის მოგცემს იმ შემოსავალს, რომ გადასახადებიც პირნათლად გადაიხადო.

რაც შეეხება ,,კრისტალის“ პარკს. ეს იყო ტყის ნაწილი და კერძო ნაკვეთები. კრისტალ ჯგუფმა ბოლომდე პირნათლად გამოისყიდა ეს ნაკვეთები. ეს გახლდათ კრისტალის კიდევ ერთი დიდი ინვესტიცია. ამ ტყის ნაწილის დასუფთავებაში დიდი შრომა ჩავდეთ. შემდეგ დაიგეგმა საფეხმავლო ბილიკები, მოწესრიგდა აქაურობა, დამონტაჟდა განათებები, დაიდგა სანაგვე ურნები, სკამები, ფანჩატურები და გახდა ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი ადგილი. ასევე ძალიან დიდი ინვესტიციები ჩაიდო კვების ობიექტების მშენებლობაში. ,,კრისტალის“ საკურორტო ზონის ტერიტორიაზე კვების სხვადასხვა ტიპის ხუთი ობიექტი არის განლაგებული. ჩვენთან არის რესტორნები როგორც ქართული, ასევე ევროპული ან შერეული სამზარეულოთი, ზოგი გაშენებულია მთის წვერზე, საიდანაც არაჩვეულებრივი პანორამული ხედები იშლება. გვაქვს ისეთი რესტორნებიც, რომლებიც განსაკუთრებით კომფორტულია მოთხილამურეთათვის,



ან ჰაიკინგის მოყვარულთათვის - სრიალის ან მთაში სეირნობის დროს მთის წვერზე გემრიელი ცხელი კერძი და ჩაი რომ დახვდებათ. ჩვენი რესტორნებიდან ,,სქაი ლაინსა“ და ,,ასპენში“ ძირითადად ევროპული სამზარეულოს ვთავაზობთ მომხმარებელს, „ქართული გემო“ მთლიანად ქართულია, „ჩვენი გემო“ შერეულ სამზარეულოს შეიცავს. ასევე გვაქვს ლაუნჯი სასტუმროს შენობაში.

კვების ყველა ობიექტი გააზრებულად მოვაწყეთ და დიდ მასშტაბებზეა გათვლილი. შეგვიძლია ერთდროულად 1000 კაცი დავაპუროთ. ცოტა რთულია ამ რესტორნების არასეზონზე სტაბილურად მუშაობის შენარჩუნება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, შევინარჩუნოთ მუშაობის მაღალი დონე და ხარისხი.

ჩვენ ასევე გავმართეთ 12 კმ-იანი სასრიალო ტრასები, დაგრძელდა ტატრაპომას ტრასა და ისევ ფუნქციონირებს, მოეწყო გათოვლიანების სისტემა. ამის გაკეთებაც კონკურენციამ გვიბიძგა. ასევე მოვაწყეთ ყინულის მოედანი, რომელიც თავიდან გაკეთდა. რადგან მთლიანად ვართ დამოკიდებულები ამინდზე, ამიტომ დავამონტაჟეთ შესაბამისი დანადგარები და ამჟამად ევროპული სტანდარტების ყინულის მოედანი გვაქვს. და რაც მთავარია, ის სტაბილურად მუშაობს 15 დეკემბრიდან თითქმის მარტის ბოლომდე. ხელოვნურმა გათოვლიანებამ და ყინულის დანადგარებმა სტაბილური მუშაობის საშუალება მოგვცა და ამინდზე დამოკიდებულები აღარ ვართ. კრისტალის ტერიტორიაზე სამი საბაგირო მუშაობს. მათი ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ მომხმარებელს მაქსიმალურ სერვისს თავაზობს. რასაკვირველია გვაქვს მაღალი დონის თხილამურების გაქირავების მომსახურება. ჩვენს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი სპა ცენტრი, ფიტნეს ცენტრები, საუნა, მასაჟის ოთახები და სხვ.

ჩვენ ვემსახურებით დაახლოებით 1000 აპარტამენტს. ჩვენი ბიზნესი ასევე ახალი აპარტამენტების მშენებლობას მოიცავს. ვასხვისებთ და შემდეგ ვემსახურებით. ამ ყველაფერმა ჩვენ მოგვცა შესაძლებლობა, რომ 2025 წელს ვუმასპინძლოთ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს - ჩვენს ტერიტორიაზე უნდა მივიღოთ 1200 ადამიანი, უზრუნველვყოთ ისინი ყველანაირი სერვისით. ფესტივალის გახსნა, დახურვა, დაჯილდოება ჩვენს ტერიტორიაზე გაიმართება.

ადამიანი შეიძლება ძალიან მშრომელი იყოს, მაგრამ შედეგს ვერ ღებულობდეს. ჩვენმა საკურორტო ზონამ აირჩია სპორტული მიმართულება, გვაქვს სპორტული დარბაზები და ამიტომაც ქართველი ოლიმპიელები ხშირად ჩვენთან გადიან წვრთნებს - ძალოსნები, მოჭიდავეები, ძიუდოისტები. სხვა ქვეყნების სპორტული დელეგაციებიც ხშირად მართავენ შეკრებებს ჩვენთან: ყაზახები, თურქები, ფრანგები და სხვები. ბაკურიანში გამართულ საერთაშორისო ტურნირების მონაწილეებსაც ჩვენ ვმასპინძლობთ, ისინი ჩვენი სპორტული დარბაზებით სარგებლობენ. ერთ დარბაზში დაახლოებით 20 ქვეყნის წარმომადგენელი ეტევა. ასევე მოვახერხეთ და ევროსტანდარტების დონის სერვისი დავნერგეთ, ამიტომაცაა ასეთი მიმზიდველი ჩვენი ბაზები, როგორც ზაფხულის ასევე ზამთრის სპორტის სახეობების წარმომადგენლებისათვის.

სასტუმრო ბიზნესი სპეციფიკური ბიზნესია. შეიძლება უმადურიც უწოდოთ. შეიძლება ყველაფერს იდეალურად აკეთებდე, მაგრამ რაღაც უმნიშვნელო დეტალი რომ გამოგრჩეს, შრომა წყალში ჩაგეყრება. მაგალითად კვება, სისუფთავე - ძალიან ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი იმისთვის, რომ წარმატებული სასტუმრო ბიზნესი გქონდეს.

როდესაც ევროპაში ჩავდივარ, თეთრი შურით მშურს და სურვილი მიჩნდება, რომ მალე დავეწიოთ. ამ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებით ბევრ უცხოურ კურორტს ვჯობივართ კიდეც. ,,კრისტალს“ შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ევროპულ სტანდარტებს და თუ ამ ტემპით ვივლით, ძალიან მალე ის იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კომპლექსი საქართველოში.

ჩვენთან დასაქმებულია დაახლოებით 500 ადამიანი. პერსონალი საქართველოს მასშტაბებს მოიცავს, ცხადია ბევრია ბორჯომის რაიონიდან, ბაკურიანიდან. ჩვენი სასტუმროების მშენებლობებზე ბევრი აზერბაიჯანელიც მუშაობს. პერსონალს ადგილზე ვაცხოვრებთ, პატარა სასტუმროებს ვქირაობთ მათთვის.

როგორც უფროსი, ზომიერად მომთხოვნი ვარ, სხვანაირად საქმე არ გაკეთდება. მეც ერთ-ერთი თანამშრომელი ვარ, ყველასთან ერთად მიწევს შრომა და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. ვცდილობ, დავაფასო ერთგული თანამშრომელი, წავახალისო, არაკომპეტენტურებს კი დროულად დავემშვიდობო.

კომპლექსის გაფართოება და განვითარება ჩვენი მომავლის გეგმაა. ამ ეტაპზე განვითარებაში ვგულისხმობთ მომსახურების ხარისხის ამაღლებას. შეიძლება სასტუმრო ერთ წელიწადში ააშენო, მაგრამ სერვისის ხარისხის ამაღლებას წლები სჭირდება. რა თქმა უნდა, ახალ-ახალი გეგმები და განახლებები მუდმივად გვაქვს. წელს ავაშენეთ არაჩვეულებრივი 1500 მ-იანი ტობოგანი, მისი ბოლო წერტილი ზღვის დონიდან 2369 მეტრზე იმყოფება. იქიდან იშლება არაჩვეულებრივი ხედი. უკვე ძალიან ბევრ სტუმარს ვმასპინძლობთ. ასევე აშენდა საბაგირო გზა, რომელიც მშენებარე ატრაქციონების პარკამდე ადის. ეს საკმაოდ დიდი ინვესტიციებია და მე მოხარული ვარ, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში და ჩემს საკურორტო კომპლექსში ხორციელდება. ასევე, მეუფის კურთხევით ჩვენს ტერიტორიაზე ვგეგმავთ სალოცავის აშენებას.

### ოჯახის შესახებ

მეც პერსონალის ნაწილი ვარ. ჩემი ოჯახის წევრები არიან სტაფის ძირითადი ბირთვი, რადგან ასეთი ერთგული ვარ ჩემი ბიზნესის. ძალიან გამიმართლა, რომ ჩემი ოჯახი ამყვა ამ ბიზნესის მართვაში. ამიტომ იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადი პერსონალი არის ჩემი ოჯახი, შესაბამისად ჩვენზე სწორება უნდა ჰქონდეთ დანარჩენებს, შანსს არ ვუტოვებთ ზარმაც და უპასუხისმგებლო თანამშრომელს. არავის ვაძლევთ იმის უფლებას, უპასუხისმგებლოდ მოექცეს ჩვენს საქმიანობას ან რაიმე დააზიანოს. ვცდილობთ, მალე გავუშვათ ასეთი პიროვნებები სამსახურიდან. მაგრამ მადლობა ღმერთს, ძალიან ბევრი ადამიანი გვიდგას გვერდში და ჩვენც ვცდილობთ, შრომა და ერთგულება დავუფასოთ. ეს ორმხრივი კონტრაქტია. თუ ეს მოლაპარაკება პირნათლად შესრულდება, წარმატება გარდაუვალია. გაჩერება უკუსვლის ტოლფასია. ამ საქმიანობას მუდმივად განახლებები და ახალი იდეები სჭირდება.

ბედნიერი ვარ, რომ ოჯახი გვერდში მიდგას. მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და სამი ვაჟკაცი. ჩემი ოჯახია ასევე დედა და დედმამიშვილები, ყველანი ერთი იდეის გარშემო ვტრიალებთ, ბრძოლას არ ვწყვეტთ, ყველა დასაქმებულები ვართ, რაც მთავარია ენთუზიაზმით შრომობს ყველა და ბედნიერები არიან. ამას ვერცერთი ძალა ვერ გააჩერებს. მთავარია, იყოს მშვიდობა. ჩემი მეორე ოჯახი ,,კრისტალის“ თანამშრომელთა ჯგუფია. ზოგადად კრისტალი ჩემი მეოთხე შვილია. ეს ჩემი განუყოფელი ნაწილია.

წარმატება აისახება რაღაც დროის მონაკვეთში. მე მინდა ყველას ვურჩიო, ჯერ დარწმუნდნენ, რომ ის კონკრეტული საქმე, რასაც აკეთებენ, ნამდვილად მოსწონთ, შემდეგ დარწმუნდნენ, რომ იმ საქმის ხორცშესხმა შესაძლებელია. პრობლემებს არ უნდა შეუშინდნენ. თუ იოლი გზა ეძებე, წარმატებას ვერ მიაღწევ, ადვილი გზა უბრალოდ არ არსებობს. მიზანი, შრომა, იღბალი - ეს სამი კომპონენტი აუცილებელია წარმატების მისაღწევად. ამის შემდეგ, როდესაც წარმატებას მიაღწევ, აუცილებელია სხვას გაუწოდო ხელი - სპორტსმენებს, მოსწავლეებს, გაჭირვებულ ხალხს... სურვილი მაქვს, რასაც ვაკეთებ, იმაზე ათჯერ მეტი გავაკეთო, რასაკვირველია, ამის საშუალება შენმა ბიზნესმა უნდა მოგცეს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც შენ ვიღაცას დაეხმარები, იქაც შედეგს უნდა დაელოდო. ის თანხა აზრიანად უნდა დაიხარჯოს. თუ ხედავ, რომ შენი ქველმოქმედება აზრიანად იხარჯება, შენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. მაგალითისთვის, ჩვენ ფინანსურად გვერდში ვუდგავართ ჩვენს მოთხილამურეებს, შემდეგ სახელმწიფოც ჩავრთეთ, და როდესაც წარმატებას მიაღწევენ, სხვასაც გაუჩნდება სურვილი, რომ ფინანსურად დაეხმაროს. ასე რომ ქველმოქმედებამ საბოლოოდ სასურველი შედეგი უნდა მოუტანოს ადამიანს.

უძილო ღამეები იყო, არის და იქნება. მთავარია, რომ მო-



გწონს შენი საქმიანობა და ამით ცოცხლობ. ესაა ამოსავალი. ამჟამადაც ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები გვსტუმრობენ, ჩვენი შრომა ცოცხალი ორგანიზმივითაა და მუდმივართ ჩართულები ვართ საქმიანობაში. ამის გამო უძილო ღამეებიც სიამოვნების მომგვრელია, ყოველთვის ერთი სული მაქვს, ხორცი შევასხა ახალ-ახალ პროექტებს.

ჩვენი მიზანია, ,,კრისტალის“ საკურორტო ზონა ვაქციოთ ევრო სტანდარტების დასასვენებელ ადგილად წელიწადის ოთხივე სეზონზე. არასეზონი არ არსებობს. ყოველ წელს ვამატებთ ახალ-ახალ სერვისებს, ვიზიარებთ სტუმრის სურვილებს და წინადადებებსაც. ჩვენთან ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია დაისვენოს, ყველა იპოვის შესაფერის გასართობს.

**20 წლის შემდეგ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ბიზნესში?**

ზოგადად, მთელი ბაკურიანი მაღალი დონის კურორტად მესახება. ჩემი ბიზნესის გარეშე ჩემი თავი და ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ბოლომდე გავუძღვები ჩემს საქმეს, სანამ ფიზიკურად შევძლებ. შემდეგ ჩემს შვილებს გადავაბარებ, მაგრამ აუცილებლად აქტიურად ვიქნები ჩართული, დავეხმარები მათ ბიზნესის მართვაში.

**ახალი წლის შემობრძანებას გილოცავთ ბატონო ვლადიმერ ,,კრისტალის“ ყველა წევრს, პირადად თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს. ღმერთმა შეგაძლებინოთ ქვეყნის სასიკეთო ბიზნესში ღირსეული წვლილის შეტანა.**

**რუსუდან სხირტლაძე.**

# ახალ წელს მშვიდობა და სიხარული მოეტანოს თქვენს ოჯახებში

**სახელოვანი ქართველი ფალავანი, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ყოფილი პრორექტორი ლუკა კურტანიძე ხუთი წელია ბორჯომის ხეობის ულამაზეს სოფელში - საგდერში ცხოვრობს. მასთან საუბარი საინტერესოა. ახალი წლის წინა დღეებში შევხვდით და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დიდხანს ვისაუბრეთ. ბატონმა ლუკამ თავისი დამოკიდებულება მკაფიოდ ჩამოაყალიბა რადიკალური ოპოზიციისადმი. ქვეყანაში მიმდინარე დრამატულ პროცესებს ეხმიანება და ჩვენთან ინტერვიუში განრისხებას ვერ მალავს იმის გამო, რაც ბოლო დღეებში დედაქალაქის მთავარ გამზირზე ხდება:**

- უპირველეს ყოვლისა, უსაზღვრო სიყვარულით მივესალმები მთელ საქართველოს ბორჯომის ხეობიდან და უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ თქვენი გაზეთის კოლექტივისადმი.

- მჯერა, ნაცების შავბნელი და სისხლიანი რეჟიმი 12 წლის წინათ ხელისუფლებიდან სამუდამოდ გავისტუმრეთ და არასოდეს მივცემთ ქვეყნის ხელში ჩაგდების საშუალებას. კიდევ კარგი, დღევანდელი ხელისუფლება გამოფხიზლდა და ამბობს, რომ არცერთ დამნაშავე პოლიტიკოსს, რომელიც საქართველოს წლების განმავლობაში არყევს და აჯანყებს, პოლიტიკურ ველზე დარჩენის საშუალება აღარ მიეცემა!

რასაც დღეს ვუყურებთ, ეს ქართული სახელმწიფოს მკვლელობის მცდელობაა და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავე რეჟიმის ნარჩენები ამას შეგნებულად აკეთებენ თუ შეუგნებლად!

სირცხვილია და მარაზმი, როცა დღევანდელ ძალადობრივ აქციებს 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიან პროტესტს ადარებენ. მაშინ მოძალადე რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტს, რაც პირდაპირ სასიკვდილო საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ისე მშვიდობიანად გამოვხატავდით, მწვანე გაზონსაც არ ვთელავდით, ამათ კი რუსთაველის გამზირი ცეცხლს მისცეს და პოლიციელების ცოცხლად დაწვა მოინდომეს.

მარტო ეს კი არა, სოციალურ ქსელში საოცარ ვიდეოს ვაწყდები... თბილისის შუაგული სათარეშოდ გადაქცეულა და ქართველ ხალხს ამის მოთმენას აიძულებენ, მაგრამ არ ვიცი, ნერვები და ნებისყოფა სადამდე გვეყოფა!

შეიძლება, რეალობისათვის თვალის გასწორება ბევრს არ უნდოდეს, მაგრამ ქვეყანა მართლაც სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა მისული.

- ხელისუფლებას მართლაც მეტი სიმტკიცისა და მეტი მოქმედებისაკენ მოვუწოდებ! დიდ პატივს ვცემ პრემიერ-მინისტრს **ირაკლი კობახიძესა** და პარლამენტის თავმჯდომარეს **შალვა პაპუაშვილს,** რომლებიც განათლებული პოლიტიკოსები არიან და ეროვნულ პოზიციას გამოხატავენ, მაგრამ მარტო საუბარი საკმარისი არ არის, როცა პოლიტიკოსი სახელმწიფოს სახელით სიტყვას ამბობს, ეს კონკრეტული ქმედებებით უნდა იყოს გამყარებული!

ხელისუფლებამ ძალადობის ყველა ორგანიზატორსა და წამქეზებელს კუთვნილი ადგილი უნდა მიუჩინოს! ყველა, ვინც სახელმწიფოს დანგრევისა და გადატრიალების მოწოდებებით გამოდის, იზოლირებული უნდა იქნეს!

ბოდიშს ვიხდი ჩემი ემოციებისათვის, მაგრამ ეს სრულიად გულწრფელი ემოციებია. ცხოვრებამ იმდენი ტკივილი მომაყენა, იმდენი უსამართლობა, ღალატი და გაუტანლობა ვიგემე, რომ დავილალე, შავად შევიმოსე და 5 წელიწადზე მეტია, ბორჯომის ხეობაში



მარტო ვცხოვრობ. ბერად არ აღვკვეცილვარ, მაგრამ მონასტერთან ახლოს ვარ, ქრისტეს ვადიდებ და ვცდილობ, თორნიკე ერისთავივით ვიცხოვრო. 2024 წლის 9 ოქტომბერს ხორვატიაში ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, შავად შემოსილი ავედი უმაღლეს კვარცხლბეკზე და ჩემი სამშობლოს დროშა ყველაზე მაღლა ავაფრიალე. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება საქართველოსთვის ვიბრძვი და მტკივა ჩემი სამშობლო, რომელიც არასოდეს არაფერში გამიცვლია! დიახ, თამამად ვამბობ ამას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ მქონდა შანსი, ჩემი სამშობლო მილიონებზე და ფუფუნებაში ცხოვრებაზე არ გამეცვალა! ჩემს ხალხთან ერთად ბევრი დაცინვა, დამცირება და გასაჭირი გადავიტანე, შიმშილისაგან გულწასულიც წავქცეულვარ, მაგრამ სამშობლოსათვის არ მიღალატია და დღეს, როცა ვხედავ, რომ სამშობლოს მინგრევენ, ენის მოჩლექით საუბარი არ შემიძლია!

**მთელი ეს ამბები იმიტომ არის ატეხილი, რომ ოპოზიცია და მისი უცხოელი პატრონები ამტკიცებენ - საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო კურსი შეცვალა და ევროპული გზიდან რუსეთისაკენ გადაუხვიაო! როგორ ფიქრობთ, რეალურად, საით მიდის საქართველო?**

12 წლის განმავლობაში გერმანიაში ვცხოვრობდი, ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია და ვერავინ მასწავლის, რას ნიშნავს ევროპა და ევროპული ფასეულობები! დიახ, მათი იდეოლოგია და თავისუფლება ახლოსაც ვერ მოვა ჩვენს ეროვნულობასთან, ეკლესიასთან და ღმერთთან ბრძოლა ამერიკულ ფასეულობას არ წარმოადგენს! ამერიკისა და ამერიკელი ხალხის პატივისცემაშიც ნურავინ შემეჯიბრება, რადგან პირველი მსოფლიო ჩემპიონობა ნიუ-იორკში მოვიპოვე და ეს ქვეყანა ჩემი ოცნების ახდენასთან ასოცირდება.

საერთოდ, ქართველი ხალხი ყველა ერსა და მათ ღირებულებებს პატივს სცემს, მაგრამ სხვებისგანაც ასევე პატივისცემას მოვითხოვთ, ყველამ გაიგოს, რომ ქართველები გადაგვარებას არ **შევეგუებით!**

**შექმნილი კრიტიკული ვითარებიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

- კოჰაბიტაცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს და არცერთი მოძალადე პოლიტიკოსი, რომელიც 9-წლიან სისხლიან რეჟიმს აძლიერებდა, პოლიტიკაში აღარ უნდა დარჩეს!

კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას - დემოკრატობანას თამაშს თავი დაანებეთ და იმოქმედეთ ისე, როგორც სახელმწიფოს ჭირდება! რადიკალური ოპოზიცია სახელმწიფოს არყევენ, ეს დემოკრატია კი არა, ანარქიაა, რომელსაც წერტილი უნდა დაესვას და თუ ამას ხელისუფლევა არ გააკეთებს, მაშინ ჩვენ - ქართველი ხალხი დავუსვამთ წერტილს!

**ახალი წელი მოდის, რას ეტყვით ბორჯომელებს ამ საზეიმო დღეებში?**

**- გულწრფელად გეტყვით, ძალიან მიყვარს ბორჯომის ხეობა და მისი მოსახლეობა. გულითადად გილოცავთ ახალ, 2025 წლის შემობრძანებას. მშვიდობა და სიხარული მოეტანოს ახალ წელს თქვენს ოჯახებში.**

**სახელოვან ფალავანს ესაუბრა**
**ვალერიან ლომიძე.**

# ქართული სიმღერის მაესტრო !



**ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა-გალობის უკვდავებისა და სიცოცხლისუნარიანობის საქმეში ოდითგანვე უდიდეს როლს ასრულებდნენ მომღერალი ოჯახები და გვარები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემდნენ საშემსრულებლო ტრადიციას, კილოურ აზროვნებასა და რეპერტუარს. მათი მწვერვალია „საქართველოს ხმად“ აღიარებული - *ჰამლეტ გონაშვილი, კარბელაშვილები, ფალიაშვილები, დუმბაძეები, ერქომაიშვილები, ჩავლეიშვილები, ხუხუნაიშვილები, კელაპტრიშვილები, თარხნიშვილები, ციციშვილები, დადვანები, ფილფანები და სხვანი.***

**ამ ღირსეულ, კულტურულ გზას ადგას დღევანდელი ჩემი რესპონდენტიც, ბატონი გიორგი ბუგიანიშვილი, რომელსაც კონსერვატორია აქვს დამთავრებული, ჯერ საგუნდო-სადირიჟორო შედგომ ვოკალის განხრით. იგი გაიზარდა ანსამბლ „მართვეში“, ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან, მერე 30 წელი მღეროდა ანსამბლ „რუსთავში“, არის ანსამბლ „ჩოხოსნების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, თეატრალურ ინსტიტუტთან არსებულ ანსამბლ „თეატრალების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი და ამჟამად უკვე ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ფოლკლორული ანსამბლ „ბორჯომის“ ხელმძღვანელი.**

**ახალი წლის წინა დღეებში შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.**

**ბატონო გიორგი, თქვენი ბორჯომთან კავშირი როდიდან დაიწყო?**

- ბორჯომთან კავშირი დაიწყო იმგვარად, რომ 25 წელზე მეტია წაღვერში აგარაკი გვაქვს და ხშირად ჩამოვდიოდით აქეთ, ხოლო აქტიური ურთიერთობა დაიწყო ორი წლის წინ, როცა მთხოვეს ჩამოვსულიყავი და ჩავდგომოდი ანსამბლ „ბორჯომს“ სათავეში. პარალელურად, ბატონმა ოთარ არბოლიშვილმა დამნიშნა თავის მრჩევლად კულტურის საკითხებში. აქედან დაიწყო უკვე ჩემი დახუნძლული ურთიერთობა ანსამბლთანაც და ბორჯომთანაც. სხვათაშორის, მარტო ანსამბლთან არა, ძალიან ბევრი კარგი პროექტი აღვადგინეთ, მათ შორის ლიანა ისაკაძის ფესტივალი, რომელიც ადრე კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში ტარდებოდა, მე გადავწყვიტე, „ბორჯომი-ლიკანის“ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ გაგვემართა და მგონი გაამართლა. ახლო მომავალში ერთი სასიამოვნო სიურპრიზიც ელით ბორჯომელებს - ახლო პერიოდში პირველად გაიმართება ფესტივალი - „აღდგომიდან ამაღლებამდე“, ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის - პატრიარქის ფესტივალი.

წინ უამრავი გეგმა მაქვს, მინდა ასევე საფუძველი ჩავუყარო და ყოველწლიურად ტრადიციად ვაქციო ფოლკლორული ფესტივალი, ტიმოთესუბანში, მონასტრის ეზოში. მე მგონი, უკეთეს ადგილს ვერც ვნახავთ.

**როგორი იყო პირველი ნაბიჯები ანსამბლ „ბორჯომში“?**

- ანსამბლს როცა ჩავუდექი სათავეში, ყველაფერი დავიწყე თავიდან, არ დამიშურებია დრო და ენერგია, მიყვარს,



როცა სამუშაო ბევრია. თანდათან ყველაფერი დავალაგე, ჯერ გავერკვიე, მომღერლები ვინ რომელ ხმას მღეროდა, რას მღეროდა, როგორ მღეროდა. მე ეს ყველაფერი ბატონ ანზორისაგან ვისწავლე, რომ როგორი მომღერლებიც გეყოლება, იმ მოცემულობით უნდა გააკეთო ყველაფერი. ასე დავიწყე ბიჭების გადალაგებაც. სულ თავიდან მოვიკითხე ანსამბლის "ძველი ბიჭები", ანსამბლის ისტორია ვინც დაიწყო, მოვუწყვე მათ ლამაზი შემოქმედებითი საღამო, გავაღიმეთ, ჩავიხუტეთ და დავასაჩუქრეთ, რაშიც გვერდით დამიდგნენ ბატონები ოთარ არბოლიშვილი და დავით ზაალიშვილი.

შემდეგ გასტროლები დაიწყო რეპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. ჩემი სურვილი იყო, რაც შეიძლება მეტ ხალხს გაეცნო ანსამბლი. სიმართლე გითხრათ, კაციშვილმა არ იცოდა ანსამბლ „ბორჯომი“-ს არსებობა.

შემდეგ ბევრ ფოლკლორულ ფესტივალშიც მივიღეთ მონაწილეობა, რაჭაშიც გავემგზავრეთ. წელს სოლო-კონცერტიც გავმართეთ წაღვერში, დარბაზში მაყურებელი კმაყოფილი დარჩა და კონცერტის შემდგომ უთბილეს ემოციებს გვიზიარებდნენ. ანსამბლ ბათუმის საიუბილეო დღეებშიც მივიღეთ მონაწილეობა. იყო პატარ-პატარა სიუჟეტებიც ტელევიზიაში - ,,იმედის“, ,,ტვ პირველის“, ,,პოს ტვ-ის“ არხებზე.

მე რაც შემიძლია, ყველანაირად ვცდილობ სხვადასხვა კუთხის სიმღერები შევიტანოთ რეპერტუარში.

**როგორც ვიცით, ახლახანს თქვენმა ანსამბლმა Erriche-tta ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, რომელიც იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართა.**

- დიახ, ჩემმა მეგობრებმა როცა შემომთავაზეს, მეც დავთანხმდი. 12-16 დეკემბერს, რომში, თეატრ ჩარბატელლა-ში ორი ფოლკლორული კონცერტი გავმართეთ. თავდაპირველად ერთი კონცერტი იყო დაგეგმილი, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე ჩავატარეთ ორი კონცერტი. პირველ კონცერტზე, მიუხედავად იმისა, რომ დაემთხვა და იქ გაფიცვა იყო,ასევე საშინელი ამინდი - კოკისპირული წვიმა, ხალხი მაინც მოვიდა და ვინც ვერ მოვიდა პირველ დღეს, ის ხალხიც დაემატა მეორე დღეს, სავსე იყო დარბაზი, კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. ბიჭები ყველანაირად შეეცადნენ კარგად ემღერათ.

რომში, ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური ჯგუფები. ასეთ მასშტაბურ ფესტივალში ანსამბლმა „ბორჯომმა“ პირველად მიიღო მონაწილეობა. მინდა ანსამბლის სახელით მადლობა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპალიტეტს, იტალიისა და ვატიკანის საელჩოებს მხარდაჭერისათვის.

**უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიება ხომ არ გაქვთ დაგეგმილი ახლო მომავალში?**

- ყველაზე ფართომასშტაბიანი იქნება ის, რომ თებერვალ-მარტში თბილისში გვინდა სოლო-კონცერტის გამართვა. მე, აქ, ბორჯომში დასარჩენად არ ჩამოვსულვარ, რომ მარტო ბორჯომში დარჩეს ანსამბლი. მინდა ჩემს ჩამოსვლას შედეგი ჰქონდეს.

და ყველაზე მთავარი რაც უნდა ვთქვა, არცერთ ანსამბლის წევრს პროფესიული მუსიკალური განათლება არა აქვს, თუმცა, ასე უყვართ მუსიკა და ასე მღერიან...

**ბავშვთა სტუდიაც  ხომ თქვენი ხელმძღვანელობით გაიხსნა ბორჯომში?**

- კი, მოვიდნენ ბავშვები, მაგრამ უფრო მეტს ველოდი, ეს ალბათ მშობლების პასიურობის ბრალია. არადა, მინდა, საძირკველი ჩაეყაროს ბავშვთა გუნდს, საიდანაც უნდა დაიწყოს, განვითარდეს და დაიმკვიდროს თავისი ადგილი ბავშვთა გუნდმა,მაგრამ თუ შევსება არ ექნება?..

**ახლა, რადგან საახალწლო ნომერში გადის თქვენი ინტერვიუ, თქვენი სურვილებიც გვითხარით, რას უსურვებდით ბორჯომს და ბორჯომელებს?**

- კი ბატონო. მე მინდა სულითა და გულით ბორჯომიდან, ამ ლამაზი ხეობიდან მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი! აი, ახლა ზუსტად მახსენდება, კონცერტის დაწყებამდე სიტყვით რომ გამოვდიოდი, ვესალმებოდი დარბაზს და ვამბობდი, რომ ძალიან ლამაზი კუთხიდან ვიყავით, ბორჯომის ხეობიდან. ზოგმა იცოდა, ზოგმა არა. კონცერტის შემდეგ ბევრი დაინტერესდა და კითხულობდნენ, - სადაა ეს ბორჯომი?.. და სწორედ ამ ლამაზი კუთხიდან მინდა მივულოცო ახლა ყველას დამდეგი ახალი წელი! ვუსურვო მშვიდობა და სიმშვიდე! მე როგორც ქართველი, და მაშასადამე ქართველი! არავითარი ევროპელი, რუსი ან სხვ. მინდა საქართველო იყოს ისეთი გაბრწყინებული და ისეთი ძლიერი, როგორიც ოდესღაც იყო და იქნება კიდეც, მჯერა! მინდა, ქართველებმა ერთმანეთი შევიყვაროთ! აი, რას გვეუბნება ჩვენი უწმინდესი - “გვიყვარდეს ერთმანეთი, გვწამდეს ღმერთის და ის გადაგვარჩენს”. ჩვენს სარწმუნოებაზე, მართლმადიდებლობაზე აქვთ იერიში, ეს არ უნდა დავუშვათ! დიდი ისტორიისა და მრავალსაუკუნოვანი ქვეყანა ვართ! ესაა ჩემი სურვილი და თხოვნა, რომელიც მინდა, რომ ყველას გულამდე მივიდეს...

- ღმერთმა აგვისრულოს ეს ნატვრა!

**და ბოლოს, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას როგორ შეაფასებდით?**

- რა თქმა უნდა, გამოვყოფ კიდეც, ვგრძნობ და დიდად ვაფასებ მათ გვერდში დგომას, უდიდეს მადლობას მოვახსენებ ბატონებს - ოთარს, დავითს და გიორგის!

ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, რადგან ერთია, გქონდეს სურვილი, და მეორეა ხელი არ გეწყობოდეს, მაშინ იმის ნახევარსაც ხომ ვერ მიაღწევს ადამიანი.

**ულრმესი მადლობა, დაგემშვიდობებით, შემოქმედებით წინსვლას, უამრავ და წარმატებებს ვუსურვებ თქვენს ანსამბლს - მუდამ გემღერებოდეთ!!!**

შევუერთდები თქვენს კეთილ სურვილებს ამ წინასაახალწლოდ - დაე, მშვიდობამ დაისადგუროს საქართველოში, უფლის გვწამდეს და გვიყვარდეს ერთმანეთი!!!

**ესაუბრა ნანა კეკელიშვილი**

ის ურჩევნია მამულსა!..

# მამის დაწყებული საქმის ღირსეული გამგრძელებელი

**ზაზა და სერგი კობესაშვილებს ბორჯომში ბევრი იცნობს. სერგის მთელი ბავშვობა ახსოვს მამა ფეხბურთს როგორ თამაშობდა და სხვა საქმიანობაზე არც უფიქრია. დღეს კი, როდესაც მამა-შვილი რაიონისათვის უდიდეს საქმეს, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებიან, ორივესთვის საამაყოა ის გზა, რაც გამოიარეს. გზა კი ნამდვილად არ ყოფილა მარტივი.**

**საყვარელი საქმიანობის შესახებ სასაუბროდ მამა-შვილს, ზაზა და სერგი კობესაშვილებს ვესტუმრეთ და მათთან საინტერესო ინტერვიუს გიზიარებთ:**

**პირველ რიგში გილოცავთ შობა-ახალ წელს, სიკეთეს, სიუხვესა და უდიდესი წარმატების წელს გისურვებთ.**

**● ბატონო ზაზა თქვენგან დავიწყოთ. როგორ გაიხსენებთ პირველ ნაბიჯებს ფეხბურთში?**

- თქვენც გილოცავთ ახალ წელს. მშვიდობას გისურვებთ. რაც შეეხება კითხვას - ჩემი პირველი ნაბიჯები იწყება მეორე კლასიდან, როდესაც სპორტსკოლაში მოვედი ბატონ ჯუნგლი ქართველიშვილთან - ბორჯომის ,,თორში“. წლების მანძილზე ვთამაშობდი აღნიშნულ გუნდში. 1996 წლიდან კი ვთამაშობდი სამტრედიის გუნდში, უმაღლეს ლიგაში, ექვსი წელი ვთამაშობდი გორის გუნდში, ხოლო ბოლო 4 წელი ახალციხეში. 36 წლის ასაკში დავასრულე ფეხბურთის თამაში და კობა თედიაშვილთან უმაღლეს ლიგაში მწვრთნელად ვიყავი, მასთან ერთად დამხმარედ. იქიდან მოყოლებული დღემდე ერთად მოვდივართ. ბოლო ორი წელია უფროს თაობასთან აღარ ვმუშაობ, მყავს უმცროსი ასაკის გუნდი. გუნდის სახელწოდებაა ,,ბორჯომი 2013“. ჩემი გუნდის წევრები 2007 წელს დაბადებულები არიან, გავხდით იმერეთის ჩემპიონები, წელს გავედით მეხუთე ადგილზე. გვაქვს პატარ-პატარა წარმატებები, რაც ძალიან გვახარებს.

**● თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ის გზა, რაც თქვენმა შვილმა სერგიმ გააგრძელა და როგორ შეაფასებთ მას, როგორც მწვრთნელის მიღწევებს?**

- ჩემთვის საამაყოა, რომ სერგიმ ჩემზე მეტი გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სირთულე ჰქონდა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, საბედნიეროდ გადალახა და ყავს საოცრად ძლიერი გუნდი. სერგი ძალიან ბევრს აკეთებს თავისი გუნდისთვის.

**● ბავშვობაში როგორი ბავშვი იყო სერგი? ელოდით, რომ ამდენს შეძლებდა?**

- საოცრად პასუხისმგებლიანი იყო. ფეხბურთი თავიდანვე უყვარდა. დღესაც თამაშობს ახალციხის ,,სამცხეში“. პირველ რიგში მიხარია, რომ საზოგადოებაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, რაც ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ვხედავ მის შრომისმოყვარეობას და შედეგებს, რასაც დღითიდღე აუმჯობესებს. ნამდვილად მეამაყება, რომ ბორჯომს ღირსეულ თაობას უზრდის.

**● ბოლო თამაშზე მინდა გკითხოთ, რომელიც მამა-შვილის გუნდებს შორის გაიმართა და მიღებული შედეგი როგორი იყო?**



- თამაში, რომელიც 6 დეკემბერს გაიმართა სერგის გუნდის, ,,თორის“ გამარჯვებით დასრულდა - 3:0. ნამდვილად მოხარული ვარ, რომ ასეთი შედეგით დასრულდა. მისი გამარჯვება ჩემი გამარჯვებაცაა. რაც მთავარია, ჩვენ ხომ მომავალი თაობების აღზრდას ვემსახურებით. მიხარია, რომ ჩემ დაწყებულ საქმეს ახლა უკვე ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრები, ჩემი შვილიშვილები, სერგის ძმისშვილები აგრძელებენ. საოცრად პერსპექტიული თაობა მოდის და ამით ვამაყობ.

**ახლა კი მინდა კითხვით სერგისთან გადავიდე.**

**● სერგი, რამდენად რთულია ის გზა, რასაც ყოველდღიურად გადიხარ მოზარდ თაობასთან ერთად?**

- პირველ რიგში უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის და გეტყვით, რომ გზა, ნამდვილად არ არის მარტივი. ყველაფერი არის უდიდესი შრომის, თავდადების და კონკრეტული მიზნის შედეგი, რადგანაც თუკი არ გაქვს მიზანი იმ საქმისკენ, რასაც აკეთებ და ემსახურები, ისე არაფერი გამოვა. ფეხბურთელებს გადადებული გვაქვს ჩვენი პირადი საქმე და ვარსებობთ ერთი მიზნისთვის, ვშრომობთ მხოლოდ ბავშვებისთვის. მადლობა უფალს ყველაფრისათვის, რასაც დღევანდელ დღემდე მივაღწიეთ და მომავალშიც მივაღწევთ.

**● სერგი, შენი, როგორც მომავალი ფეხბურთელის ცხოვრებაში, რამდენად დიდი როლი ითამაშა მამამ?**

- მამაჩემი ჩემს ცხოვრებაში არის ადამიანი, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე და დღესაც ვსწავლობ, თუკი რაიმეს წარმოვადგენ, ეს არის მამაჩემის დამსახურება. ორი ადამიანით მეტიც რომ მიცნობს, ისეც მისი დამსახურებაა. ბოლო თამაშზეც ვისაუბრეთ და ვიტყოდი, რომ მამა-შვილის გუნდების თამაშიდანაც კი, ბავშვებმა ჩვენგან ბევრი რამ ისწავლეს. მე კი თავისთავად ეს ყველაფერი ზაზასგან მაქვს ნასწავლი. ბურთი იყო ის საყვარელი ნივთი ჩემ ოჯახში, რაც ადრეული ბავშვობიდან მახსოვს და მიყვარს. 4 წლის ვიყავი, როდესაც პირველად შევედი ფეხბურთზე და დღემდე ამ საქმეს ვემსახურები. მამა თვითონ მორიდებული ადამიანია და მეამაყება, რომ საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდი ფეხბურთი აქვს ნათამაშები, ვიტყვი, რომ მე პირადად ვერ ვითამაშე იმ დონის ფეხბურთი, რაც ზაზამ და ამით კიდევ უფრო მეტად ამაყი ვარ.

**● ჩვენ ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებზეც მინდა ვისაუბროთ, რომელიც ალბათ კიდევ მეტი მოტივაცია გახდა ახალი თაობისთვის. რამდენად დიდია მოთხოვნა სპორტის ამ მიმართულებით და რამდენად პესრპექტიული თაობა მოდის?**

- მიხარია, რომ ბორჯომი საქართველოს მასშტაბით იმ ქალაქებს შორისაა, სადაც ფეხბურთი უყვართ და აინტერესებთ ახალგაზრდებს. ეროვნული ნაკრები კი ამის საუკეთესო მაგალითია. ყველაფერი მოდის უდიდესი შრომის შედეგად, რადგანაც ჩვენი საქმიანობა ყოველთვის ბევრ ენერგიას და შრომას მოითხოვს.

**● მინდა ჯუნგლი ქართველიშვილის სახელობის ტურნირზეც გკითხოთ, სადაც გამარჯვებული პატარა ,,თორელები“ გახდნენ. რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული სახის ტურნირები ფეხბურთელების განვითარებისათვის?**

- ჩემი გუნდის წევრები 6-7 წლისანები იყვნენ, როდესაც მე მათი მწვრთნელი გავხდი, ბევრი წინააღმდეგობა შეგვხდა, თუმცა რთული გზის მიუხედავად, უფლის წყალობით მოვედით დღემდე, დავიწყეთ შიდა ქართლის ჩემპიონატით, შემდეგ ვითამაშეთ სამცხე-ჯავახეთში, ვთამაშობთ დასავლეთ საქართველოშიც, სადაც მესამე საპრიზო პოზიციაზე გავედით. რაც შეეხება ჯუნგლი ქართველიშვილს, ის იყო არამარტო ჩემთვის, არამედ მთელი ბორჯომისათვის უსაყვარლესი და უძვირფასესი პიროვნება, საკუთარი საქმის პროფესიონალი. პირადად ჩემთვისაც, როგორც ბატონი ჯუნგლის მოსწავლისთვის, იყო უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა, როდესაც ასეთ მასშტაბურ ტურნირზე ჩვენმა ,,თორელებმა“ გაიმარჯვა. მჯერა, თუკი არსებობს სხვა სამყარო, ბატონი ჯუნგლის სულმა გაიხარა. ასევე მინდა აღვნიშნო მისი ოჯახი, მეუღლე, რომელიც უბედნიერესი იყო. მახსოვს, ემოციებისგან როგორ იტირა. მთავარია, რომ ტურნირი ამიერიდან ტრადიციულად ჩატარდება ყოველ წელს და უფრო ძლიერი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

**● რამდენად მნიშვნელოვანია გულშემატკივრების გვერდში დგომა და რაც მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა, რომელთა პრიორიტეტიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალი თაობების განვითარების ხელშეწყობაა?**

- პირველ რიგში ვიტყოდი, რომ გუნდი ერთი ოჯახივითაა და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული გუნდის წევრი უდიდესი პოტენციალის მქონეა. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც ყოველთვის უდიდესი ემოციებითა და ოვაციებით გვანებივრებენ, ასევე უდიდესი მადლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ოთარ არბოლიშვილს**, ასევე სასპორტო სკოლის დირექტორს, **ელიზბარ სტეფნაძეს**, მის მოადგილეს - **მიშა გოგოლაძეს**. თუკი ამ ადამიანებისაგან არ გვექნება მხარდაჭერა, ჩვენ შრომას ფასი და შედეგი არ ექნება.

**მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

**მადლობა თქვენ და გაზეთ ,,ბორჯომს“.**

ხელოვანის სამყარო

# ნამუშევრებში მთელ სულსა და გულს დებს

**ახალი წელი ადამიანებისთვის ყოველთვის ზღაპრულთან და ჯადოსნურთან ასოცირდება და ალბათ ისე არაფერი უხდება საახალწლო გარემოს, როგორც ხელნაკეთი ნივთები, რომელსაც ადამიანები საკუთარი ხელით ქმნიან. ჯუნა მელიქიძეც იმ ადამიანებს შორისაა, რომელიც თვითნასწავლი ხელოვანია და რასაც აკეთებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი შესანიშნავად გამოდის. ბოლო პერიოდია, ულამაზეს საახალწლო გნომებს ქმნის, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობს და მის დამზადებას ხშირად უკვეთავენ. თავდაპირველად პატარა ზომის გნომების დამზადება დაიწყო, რომელიც ფანქრებისა და კალმების ჩასაწყობად გამოიყენება, პირველად თანამშრომლებმა ნახეს და იმდენად აღფრთოვანებულნი დარჩნენ, რომ 10 ცალი მაშინვე გაიყიდა. პატარა გნომებმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ გადაწყვიტა, დიდი ზომის გნომებიც დაემზადებინა და დღეს სხვადასხვა სამოსში გამოწყობილ დიდი ზომის გნომებს ამზადებს.**



ჯუნა მიყვება, რომ ხელნაკეთ ნივთებს 2 წელია ამზადებს. თუმცა ბავშვობიდან ძალიან კარგად ხატავს. ტილოზე ხატვა და ხელნაკეთი ნივთების დამზადება კი ერთდროულად დაიწყო. მასალად იყენებს ფომარინის ქაღალდებს და მეორად ქსოვილებს. როგორც ჯუნა ამბობს, არაფერს არ ყრის. ყველანაირად გამოუსადეგარი ნივთებისაგან შეუძლია სრულიად ახალი ნივთი შექმნას. ამზადებს ყვავილებს, ასევე საკანფეტეებს, საყვავილეებს, ბოლო პერიოდში პოლიმერული თიხის შესწავლა დაიწყო. ამზადებს თმის სამაგრებს. ამაყობს იმით, რომ ყველაფერს თავისით სწავლობს და ყოველთვის ახლის ძიებაშია. ოჯახის წევრებს ძალიან მოწონთ ჯუნას ნამუშევრები. ყველაზე დიდი სტიმული მისი 12 წლის გოგონაა, რომელსაც ხატვა დედასავით უყვარს, ამიტომაც ჯუნას ხშირად აწვდის იდეებს. ხშირად დედასთან ერთად არჩევს გნომების სამოსისთვის მატერიის ფერებს. ჯუნას საკუთარი შემოქმედების აფიშირება არ უყვარს. ის ღიმილით მიყვება, რომ როდესაც პირველ ნამუშევრებს ბოლო დროს შექმნილებს ადარებს, ელიმება, არ სჯერა, იმდენად განსხვავებულები არიან. ზოგიერთი ადამიანი ფოტოს აჩვენებს, კონკრეტულ ნივთს და იმის მიხედვითაც შეუძლია დაუმზადოს. მოკლედ, მის ფანტაზიას და შესაძლებლობებს საზღვრები არ აქვს.

**ჯუნა მელიქიძე:** - ჩემ გნომებს ძირითადად ჩემი თანამშრომლები მიკვეთავენ, რისთვისაც მათ მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა. ჩემს მიერ დამზადებული გნომები მხოლოდ ახალ წელს კი არ გაგილამაზებთ, ის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ თქვენი გარემოსთვის შეარჩიოთ. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ნახატებზეც ვიტყვი, რომ ჩემი პირველი დამკვეთი ჩემი უფროსი, ქალბატონი **თამარ კვარიანთაშვილი** იყო. მისი წყალობით სტიმული მომეცა, რომ დამეხატა და საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მქონებოდა. მადლობა თითოეულ ადამიანს, მადლობა თქვენ და გაზეთ ,,ბორჯომს“ ჩემი შემოქმედების დაინტერესებისათვის.

# ლუკა სტეფნაძე პირველი ადგილის მფლობელია

**ლუკა სტეფნაძე** მერვე წელია, რაც საქართველოში კარგად ცნობილი საცეკვაო წყვილის, ჯულიანა ბარგნარისა და ოთო ფოლადაშვილის სტუდია ,,OTo & Juliana Project”-ის წევრი გახლავთ. მესამე წელია, აღნიშნულ სტუდიაშია და პარალელურად ასისტენტად მუშაობს. ახლა უკვე ის თავად უზიარებს ახალ თაობას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. ლუკას ამ წლების განმავლობაში უამრავ შიდა თუ საერთაშორისო ტურნირში აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც საქართველოსა და კავკასიიის, ასევე მის ფარგლებს გარეთაც მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია. 6 დეკემბერს კი, ბარსელონაში, სიტჯესში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოცეკვავეები იღებდნენ მონაწილეობას, ლუკა სტეფნაძე, თავის მეწყვილესთან (**ელენე გოგიშვილი**) ერთად, under 21 open Latin-ის კატეგორიაში პირველი ადგილის მფლობელი გახდა. როგორც ლუკამ გაზეთ ,,ბორჯომთან“ საუბრისას




აღნიშნა, მისთვის ყოველი გამარჯვება უდიდეს სიხარულთან, ემოციებთან და კიდევ მეტ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, მითუმეტეს, როდესაც შენი ქვეყნის სახელი მის ფარგლებს გარეთ გაგაქვს და მის ღირსებას იცავ . ვულოცავთ ლუკას ახალ წელს და კიდევ ერთ ღირსეულ გამარჯვებას და წარმატებულ ასპარეზობებს ვუსურვებთ მომავალშიც.

*გვერდი მოამზადა* **ნატო მელიქიძემ**

# საახალწლო სამზადისი ოჯახებში

**ახალი წელი ის დღესასწაულია, რომელსაც თითქმის ყველა ოჯახი აღნიშნავს და ამ დღის დადგომას დიდი მოლოდინით ელოდებიან. ჩვენს გამოკითხვაში გაგაცნობთ ბორჯომელი ოჯახების საახალწლო სამზადისს. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, როგორი სიხარული და სურვილების ახდენის წამები დგება ხოლმე. ხოლო მრავალშვილიან ოჯახებში ყველაზე მხიარული და ხმაურიანი ახალი წელია.**

**თეონა ალდგომელაშვილი, 28 წლის, ოთხი შვილის დედა:** - 31 დეკემბრის დილიდან ვიწყებთ საახალწლოდ მზადებას. მანამდე ერთი თვით ადრე იქმნება ჩვენთან საახალწლო განწყობა ნაძვის ხის მორთულობით. ვაკო, კატო, ლაზარე და ალექსანდრე, ოთხივე ერთად ალამაზებს დღესასწაულის მთავარ სიმბოლოს - ნაძვის ხეს. წელსაც საყვარელი ფერებით მორთეს და ველოდებით 2025 წლის დადგომას.

გოზინაყს თვითონ დედიკო ამზადებს. ამბობს, რომ მისი მომზადების პროცესი ძალიან მოსწონს და პირველობას ვერავის უთმობს. ჩურჩხელები, ხილი და ტკბილეული სუფრაზე მთელი დღეების განმავლობაში ატკბობს ოჯახის სტუმრებსა და პატარებს.

თოვლის ბაბუას წელსაც მისწერეს სურვილები. გოგონას მოლაპარაკე თოჯინა სურს, ბიჭს პულტიანი მანქანა, ყურსასმენები და ბურთი.

დედის მთავარი საახალწლო სურვილია შვილები და ოჯახი ჰყავდეს ჯანმრთელად და ბედნიერად.

**თამო გოცირიძე, 35 წლის, ოთხი შვილის დედა:** - ახალი წლის შემობრძანებას ჩვენს დიდ ოჯახში ტრადიციულად ვხვდებით. ჩვენი ოჯახის ყველაზე პატარა წევრი თინათინი, ჩვენს გარშემო დარბის და ძმებს მოსვენებას არ აძლევს, არც დედასა და არც ბებია-ბაბუას. ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონს და ინტერესით აკვირდება საახალწლო სამზადისს. განსაკუთრებით ნაძვის ხის ბრჭყვიალა სათამაშოები მოსწონს. აქ, თოვლის ბაბუას მოტანილ საჩუქრებს ელოდება ოთხივე შვილი და ოცნებების ასრულების სჯერათ.

საახალწლო სუფრას ამშვენებს დედამთილისა და რძლის ერთად მომზადებული მურაბები და ჯემები, რომლებიც სუფრას სხვა ტკბილ ელფერს აძლევს.

ბედნიერები უსხედან მელიქიძეების ოჯახის 8 წევრი საახალწლო სუფრას და ტკბილად ეგებებიან ბარაქიან, უხვ და სიხარულით სავსე 2025 წელს.

**ლუბა ბერიძე, 39 წლის, სამი შვილის დედა:** - ჩვენი შვილების სურვილებზე მორგებით მოვრთეთ ნაძვის ხე. სახალისო და ფერადი გამოვიდა.

ახალ წელს თითოეულ მათგანს მათი მიზნებისა და ასაკის შესაბამისი სურვილები აქვთ.

უფროსი, ანა, მესამე კურსის სტუდენტია და კარგი სამსახური სურს; მარიამს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება; ალექსანდრეს - მალე გაიზარდოს სიმაღლეში და დიდი იყოს.

ჩვენთან საახალწლო სუფრა ფორმდება ნაძვის ხის, ვარსკვლავის, გულების ელემენტებით; სუფრა იშლება ოჯახის წევრების გემოვნების მიხედვით, ვისაც რა მოსწონს. გოზინაყს ბებია (ფიქრია ჯეირანაშვილი) ამზადებს ხოლმე, საცივი კი ტრადიციულად ყოველთვის გვაქვს; მწვადი მაყალზე იწვება, 11 საათზე უკვე სუფრასთან ვსხდებით და ველოდებით ახალი წლის შემობრძანებას.





მე, თოვლიან და ფიფქებიან ახალ წელზე ვოცნებობ. ვისურვებ ოჯახის, ქვეყნის კეთილდღეობას, შვილების წარმატებულ და საამაყო მომავალს. მიხარია, რომ აიკრძალა პიროტექნიკა. შარშან სასწაულად გადავურჩით ამ საფრთხეს. წელს უფრო უსაფრთხოდ აღინიშნება ახალი წელი, თითოეულ მოქალაქეს უსაფრთხოდ ცხოვრებასა და ოცნებების ასრულებას ვუსურვებ.

**ირინა სილვესტრუკი, 37 წლის, ორი შვილის დედა:** - სამი წელია ირინა ახალ წელს ბაკურიანში ხვდება შვილებთან და მეუღლესთან ერთად. ოჯახმა წელს ნაძვის ხე ოქროსფერ, თეთრ და ყავისფერ ფერებში გააწყო.

გოზინაყი და ჩურჩხელა მეზობლებისგან ულევად აქვს. ჯერ მათი დამზადება არ უცდია. მადლობის გადახდა არ ავიწყდება გულთბილი და გულუხვი მეზობლებისათვის.

მისი მთავარი საახალწლო სურვილია - მშვიდობა მსოფლიოში.

შვილების სურვილი კი ბავშვური და გულწრფელია, გიორგის ბურთი, იაროსლავას კი ჰარი პოტერის სახლი სურს.

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# 2024 წელს ცხოვრების სიყვარული ვიპოვე

**ანუკი გლუნჩაძე ბორჯომელთათვის ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი პიროვნების, ბატონი, რობერტ ნადირაძის შვილიშვილია. ანუკი ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამშრომელია. ის მერის წარმომადგენლის სპეციალისტი გახლავთ ბორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულში. მის ცხოვრებაში 2024 წელი ყველაზე ფეხბედნიერი იყო, რადგანაც სულ რამდენიმე თვეა, რაც მან ბედი ავთო მახარაშვილს დაუკავშირა. მისი რჩეული, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელია. ანუკის, როგორც დიდ და სტუმრიან ოჯახში გაზრდილ პიროვნებას ვთხოვე ყველაზე ოჯახური დღესასწაულის, ახალი წლის ტრადიციებზე ესაუბრა.**



● **ანუკი პირველ რიგში გილოცავ შენ ცხოვრებაში არსებულ ყველაზე დიდ სიახლეს - დაოჯახებას, გამრავლებასა და ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. რაც შეეხება ჩემ პირველ კითხვას. - ბატონ რობერტ ნადირაძის ოჯახში გაზრდილს წარმომიდგენია, რომ სულ მუდამ ბევრი სტუმრის გარემოცვაში გიწევდა ყოფნა. ყველაზე ტრადიციულ დღესასწაულს, ახალ წელს, როგორ აღნიშნავდი დიდ ოჯახში?**

- უდიდესი მადლობა მოლოცვისათვის. ასევე ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის.. რაც შეეხება თქვენ კითხვას, გეტყვით, რომ ჩვენ დიდ ოჯახში ყოველ ახალ წელს ტრადიციულად ერთად ვიკრიბებოდით. ჩამოდიოდნენ დეიდა და დეიდაშვილები და ყველანი ერთად უდიდესი სახარულითა და მხიარულებით ვხვდებოდით ახალ წელს. ეს დღე მართლაც განსაკუთრებული დღესასწაულია როგორც ჩემთვის, ისევე ყველასთვის.

● **ანუკი რით იყო შენთვის გამორჩეული 2024 წელი?**

- ყველაზე გამორჩეული წელი იყო, რადგან დავოჯახდი და ჩემი ცხოვრების სიყვარული ვიპოვე.

● **ახალი წელი ადამიანებისთვის ახალ იმედებთან, სურვილების ასრულებასთან ასოცირდება. შენთვის რას ნიშნავს ახალი წელი?**

- ახალი წელი ჩემთვის ახალი მიზნების, ახალი სურვილების წელია. რა თქმა უნდა, სასწაულებისაც მჯერა. მგონია, რომ სადაც სასწაულების აჯერათ, იქ ახდება კიდეც.

● **ყველა ადამიანს საკუთარი პირადი ტრადიცია აქვს. თქვენ ოჯახში თუ გაქვთ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია?**

- განსაკუთრებული რამდენად არის, არ ვიცი, თუმცა ვცდილობთ, რომ საახალწლო განწყობა ჩვენთან და ჩვენს ირგვლივ შედარებით ადრე დავიწყოთ. დეკემბრის დასაწყისიდანვე ვიწყებთ მზადებას, ვრთავთ სახლს, ეზოს, აივანს სხვადასხვა აქსესუარებითა და განათებებით.

● **ზოგადად რის გარეშე ვერ წარმოგიდგენია ახალი წელი?**

- განსაკუთრებულად მიყვარს დიდი, ლამაზი ნაძვის ხე. ნაძვის ხის გარეშე ახალი წელი ვერ წარმომიდგენია.

● **წლევანდელ საახალწლო სამზადისში მეუღლე რამდენად იყო ჩართული?**

- აქტიურად იყო ჩართული, რაც ძალიან მახარებს.

● **რას მოელი ახალი 2025 წლისაგან?**

- 2025 წელს ველოდები ახალი სურვილებისა და ოცნებების ასრულებას.

● **რას უსურვებდი შენ თანაქალაქელებს შობა-ახალ წელს?**

- ყველას ვულოცავ შობა-ახალ წელიწადს. მინდა, რომ ყველა იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი. მშვიდობასა და ულევ სიხარულს ვუსურვებ.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# მარიამის ახდენილი ოცნება!

**17 წლის მარიამ შინჯიკაშვილმა დამოუკიდებლად შეავსო აპლიკაცია და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პროექტისODYLP: On Demand Youth Leadership პროგრამის მონაწილე გახდა. სრული დაფინანსება მოიპოვა და პროექტის ფარგლებში გამგზავრებისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებაც დაუფინანსდა. 2024 წლის 4 აპრილიდან 25 აპრილის პერიოდი კი ვაშინგტონსა და სიეტლში გაატარა. უკან დაბრუნებულმა ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში თანასკოლელებს ემოციებიც გაუზიარა. ამჯერად, ჩვენი რესპონდენტი შთაბეჭდილებებს ჩვენს მკითხველსაც უზიარებს.**

● **მარიამ, მოგვიყევი როგორ მოხვდი აღნიშნული პროგრამით აშშ?**

- იმის შემდეგ რაც მეგობრისგან შევიტყვე ამ გაცვლითი პროგრამის შესახებ, რომელიც ამერიკის საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული, გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა, რადგან დიდი ხანია, ინგლისურად ძალიან კარგად ვსაუბრობ. აპლიკაციის შევსება მარტივი არ ყოფილა. იყო რამდენიმე რთული კითხვა, რომელზეც ვრცლად უნდა გაგვეცა პასუხები, ასევე პირადი ინფორმაცია და ა.შ. აპლიკაციის გაგზავნის შემდეგ დიდი მოლოდინები არ მქონია, რადგან საქართველოში 3 მილიონი ადამიანიდან იშვიათია 16 წლის მოზარდს, ისე გაუმართლოს, როგორც მე. თუმცა გაგზავნიდან 1 თვის შემდეგ მომდის შეტყობინება, რომ ინტერვიუსთვის ამირჩიეს. ინტერვიუ უკვე შემდეგი ეტაპი იყო, ძალიან ვინერვიულე... თუმცა ადვილი კითხვები იყო. ეხებოდა ჩემს ქვეყანას, გამოცდილებას, პროექტებს და რაც მთავარია იმას, თუ რამდენად აქტიური მოქალაქე ვიყავი. ამ ინტერვიუს წარმატებით გავლის შემდეგ, დაახლოერებით 15 დღეში, დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ამერიკაში მივდიოდი.

● **რამ გამოიწვია შენი გაოცება ყველაზე მეტად ამ სამი კვირის განმავლობაში?**

- ის სამი კვირა რაც ამერიკაში გავატარე, ჩემთვის სიზმარი უფრო იყო, ვიდრე რეალობა. პირველად ვიყავი საქართველოს საზღვრებს გარეთ და შესაბამისად ბევრი რამ ჩემთვის უცხო და ახალი იყო. თუმცა თვითონ ამერიკა, როგორც ქვეყანა უმაღლეს დონეზეა. განათლება, სისუფთავე, ცხოვრების წესი... ყველაფერი ძალიან კარგ დონეზე აქვთ. ხალხი კარგად ცხოვრობს. საქართველოს რომ ვადარებდი, მივხვდი, რომ განვითარებულ ქვეყანამდე ბევრი გვიკლია, რამაც ძალიან შემაწუხა. ამერიკა იდეალური იყო. ჩემი გაოცება კი უმეტესად იმან გამოიწვია, თუ რამდენად თბილი ხალხი ცხოვრობს, ასევე იმან, რომ ჩვენნაირ მოწადინებულ და განათლებულ ახალგაზრდებს ძალიან აფასებენ. უამრავი შესაძლებლობაა ამერიკაში უცხოელი მოსწავლეებისთვის, რამაც ძალიან გამახარა.

● **როგორია შენი ოცნება?**

- როდესაც საქმე ჩემს ოცნებას ეხება, ასე ვთქვათ ცოტა ამბიციურიც კი შეიძლება ვუწოდოთ, თუმცა რომ არა ამბიცია არ გვექნებოდა მიზანი და რომ არა მიზანი, არ გვექნებოდა მომავალი. ამიტომ ჩემი ოცნებაა, მომავალში ისე ვისწავლო, რომ ვიყო უზრუნველყოფილი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებ ჩემნაირი ახალგაზრდების დახმარებას. რომ ვუყურებ ჩემს გამოცდილებას და მოთხოვნებს, მინდა ქვეყანა უკეთესობისკენ შევცვალო და ხალხს დავანახო, თუ რამდენი რამის შეცვლა შეუძლია ერთ პატარა ადამიანს.




● **რას ისურვებდი შენი სამშობლოსათვის?**

- ჩემი სამშობლოსათვის პირველ რიგში ვისურვებდი თავისუფლებას. მინდა, რომ საბოლოოდ ვიყოთ თავისუფალი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა გამუდმებით შიშში არ იცხოვრებს. მინდა ჩემი ქვეყანა, როგორც ადრე, კვლავ ერთიანი იყოს. ამისთვის კი ერთად და მტკიცედ დგომაა აუცილებელი.

● **რომელი პროფესიას ირჩევ? და რატომ?**

- პროფესიად ავირჩიე საერთაშორისო ურთიერთობები, რადგან მინდა რაც შეიძლება მეტ ქვეყანასთან მქონდეს ურთიერთობა ისე, როგორც საქართველოს მოქალაქეს. მინდა ხალხმა მეტი შეიტყოს ჩემს პატარა ქვეყანის შესახებ. ასევე ძალიან მიყვარს ადამიანებთან კომუნიკაცია. ამიტომ ვფიქრობ ეს პროფესია ჩემთვის იდეალური იქნება.

● **დაასრულე სიტყვები რამდენიმე სიტყვით - განათლება ნიშნავს?**

- განათლება ნიშნავს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღებას, რომელიც ადამიანის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობას უწყობს ხელს. რომ არა განათლება, ჩვენი ქვეყანა მართლაც რომ ცუდ დღეში იქნებოდა.

● **რას ისურვებდი ბორჯომში? როგორია შენი დამოკიდებულება ჩვენი ქალაქის მიმართ?**

- ბორჯომი ულამაზესი ქალაქია, თუმცა რამდენად იდეალურია საცხოვრებლად არ ვიცი. იმის მიუხედავად, რომ მაღალმთიანია და ძალიან კარგი ჰაერია, ვფიქრობ, ბორჯომს ბევრი აკლია იდეალურ ქალაქამდე. ვისურვებდი, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა გამოავლინონ საკუთარი თავი ამა თუ იმ საკითხში, რადგან სწორედ ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის მომავალი. თანაც ბორჯომში ფასები ძალიან მაღალია, რაც ცხოვრებას ნამდვილად ართულებს. დასაქმების დონე მაღალია, ხელფასები - დაბალი. თუმცა მასზე მეტად არაფერი მიყვარს.

● **როდის ხარ ყველაზე ბედნიერი?**

- ცოტათი რთული კითხვაა. ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ჩემთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად ვარ, როდესაც ვუსმენ მუსიკას, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვატარებ დროს, როდესაც ვაცხობ ან ვწერ. ჩემთვის ბედნიერება წვრილმანებშია, ამიტომ ვცდილობ, ყოველთვის პოზიტიურად ვიყო განწყობილი, რადგან სწორედ პოზიტივი გვჭირდება დღეს.

● **შენთვის წარმატების მთავარი მოტივატორი არის...**

- ჩემთვის წარმატების მთავარი მოტივატორი არის დედაჩემი. რომ არა ის, მე არ ვიქნებოდი, ვინც ახლა ვარ. მისი დამსახურებაა, რომ არ დავნებდი და ვაგრძელებ ჩემი მიზნებისთვის ბრძოლასა და კენწეროსკენ სწრაფვას, რადგან მინდა ის გავაბედნიერო და დავუმტკიცო, რომ მთელს მსოფლიოში საუკეთესო დედაა.

**იზა იანვარაშვილი**

# ვულოცავთ!



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის ფერისცვალების ეკლესიის მრევლი დაბადების დღეს და შობა-ახალ წელს ულოცავს თავის მოძღვარს, - მამა ილარიონს.

ალბათ იღბლიანი ადამიანები ვართ, თქვენ რომ გვყავხართ. სწორედ იმაზე უკეთესად გვიცნობთ, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავებს. ვერასოდეს შევძლებთ შესაფერისი მადლობა გადაგიხადოთ იმ ყველაფრისთვის, რასაც ჩვენთვის აკეთებთ, - თქვენ ჩვენი საუკეთესო მეგობარი და მოძღვარი ბრძანდებით

დაე, ყოველ დაბადების დღეზე გახსოვდეთ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარხართ. შეგეჩვიეთ და ჩვენს სოფელში უთქვენოდ საეკლესიო მსახურება ვეღარ წარმოგვიდგენია. დიდი მადლობა იმ ნდობისათვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობთ თქვენგან. მადლობა, რომ ჩვენს გვერდით დგახართ, მაშინაც კი, როდესაც ყველა ზურგს გვაქცევს. ვგრძნობთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, არ მიგვატოვებთ, ღვთის სახლს არ დატოვებთ უმოქმედოდ. ათწლეულზე მეტია, რაც ჩვენი მოძღვარი გახდით და მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენი წყალობით სევდა ყოველთვის იცვლებოდა ბედნიერებით, სისუსტე - სიძლიერით, სიძულვილი - სიყვარულით, ეჭვები კი თავდაჯერებულობად გადაგვექცეოდა. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ჩვენი ოჯახის წევრიც გახდით და სულიერი ცხოვრებაც შეცვალეთ უკეთესობისკენ, რასაც არასოდეს დავივიწყებთ.

იმედი გვაქვს, რომ კიდევ ერთი წელი თქვენი ცხოვრების ლექსიკონიდან ამოშლის ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: დამარცხება, უარყოფა, დარდი, დეპრესია და სირთულეები. ძალიან გვიხარია, რომ თქვენი სახით სანდო, ყურადღებიანი, მზრუნველი, სულიერი მოძღვარი და მეგობარი მოგვივლინა ღმერთმა. თქვენი არსებობით ჩვენს სამყაროს უფრო ბედნიერს ხდით.

ძალიან გვიყვარხართ და გისურვებთ, რომ ამ წელმა ყველაფერი საუკეთესო მოგიტანოთ. დაე, თქვენთვის დამდეგი შობა-ახალი წელიც ისეთივე შესანიშნავი იყოს, როგორი ადამიანიც ბრძანდებით!

პატივისცემით, **სოფელ ჭობისხევის ფერისცვალების ეკლესიის მრევლი**



ჩვენი ოჯახის დიდ იმედს, სიკეთითა და სიხარულით აღსავსეს, ძვირფას ელენეს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალ შობა-ახალ წელს დასწრებოდეს, ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს. ვუსურვებთ წარმატებულ სწავლას, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

**დედა ნატო, პაპა ჯამბულ ლონდაძე, დეიდა ეკა, დეიდაშვილი გიორგი.**

ძვირფასო ბორჯომელებო! გილოცავთ ახალ 2025 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს.

გვენახოს ბორჯომი გაბრწყინებული, ზღაპრულად განათებული, ხოლო ბორჯომელები ბედნიერები.

**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზი**

### პოეზიის კუთხე

## კვლავ გაუძელი განსაცდელს...

ისევ ბეწვის ხიდზე დგახარ,
ისევ აგირიეს გზები,
გაყალბებულად ჩათვალეს,
ხალხის მოცემული ხმები.
თურმე რა ძნელი ყოფილა,
სხვებისთვის სკამის დათმობა,
ზვავივით უცებ შვავდება,
ქვეყნის ერთობის თანხმობა.
ჯერ იყო და როგორც ქვა-ღორღს,
დავით გარეჯს გაგაშორეს,
ძნელბედობის ჟამს გიმტყუნეს,
სამაჩაბლოს დაგაშორეს.
თავისუფლად არ გასუნთქეს,
მოგაშორეს აფხაზეთი,
ევროპის ნატვრა-ძახილში,
გადაგიწვეს ტყე და ზვრები.
ვინც შეძლო სახლ-კარს გაექცა,
ემიგრანტად ჩაესახლა,
აქ ამაყად მყოფი ხალხი,
სხვის მსახური,მონა გახდა.
ნეტავ რატომ ივიწყებენ,
ნასწავლებად მოაქვთ თავი:
"გველსა ხვრელით ამოიყვანს,
ენა ტკბილად მოუბარი"...
ნეტავ რა ფასი დაგადეს,
რომ სიმშვიდე არ გეღირსოს?
ნაწილ-ნაწილ, ნაკუწ-ნაკუწ,
შენი მიწა გაგიყიდონ?
გამართლებას ვერ ვუძებნი,
შენი შვილი რომ გსვრის ქვასა,
ოღონდ უზრუნველად იყოს,
სულ უცხოს გაუღებს კარსა...
ისევ უფლის იმედი მაქვს,
თუმცა უფალსაც გიგინებენ,
უვიცნი მოეგონ გონსა,
ნაკვერცხლად არ გიზგიზებდნენ.
ბევრი ჰყოლია შენს მიწას,
ერთგული და გამყიდველი,
გმირისა ან მოღალატის,
დაუტოვიათ ს ა ხ ე ლ ი.

**იზო სარქისიანი.**

## ღონისძიება მიეძღვნა პოეზიის დედოფალს

პოეზიის დედოფლის, **ანა კალანდაძის** იუბილეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ანა კალანდაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორმა **ნანული სალაღაიამ** და პედაგოგმა **ანასტასია ხაჩიძემ**, რომელსაც პოეტთან პირადი ნაცნობობა აკავშირებდა და სახსოვარი ლექსიც მიუძღვნა მას. ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა **დარეჯან კუპრაძემ** და **მანანა გელაშვილმა** წაიკითხეს ანა კალანდაძის ლექსები.

**„ანა კალანდაძე, როგორც პოეტი, იყო სადა, დახვეწილი, სათუთი, მაგრამ, ამავე დროს, თამამი და მის პოეზიას დაჰკრავდა ძველი ქართული ენის ოდნავ შესამჩნევი სიო"- ითქვა ამ შეხვედრაზე.**

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები **ელენე ხაჩიძე, მარიამ გრიგალაშვილი, მარიამ ბუზალაძე, ელენე გელაშვილი, მარიამ ხუციშვილი, მარიამ დავიდიანი,** №3 საჯარო სკოლის მოსწავლე ვიქტორია **ანა ჰოსტენი,** რომლებმაც წაიკითხეს ანა კალანდაძის ლექსები.

## საახალწლო შეხვედრა საბავშვო ბიბლიოთეკაში



**ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ საბავშვო ბიბლიოთეკაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს (ინგა კახაძე, დალი გელაშვილი, მერი ხარატიშვილი)** უმასპინძლა. მოსწავლეებმა ნაძვის ხესთან ლექსები წაიკითხეს და საახალწლო სიმღერები შეასრულეს.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა **ნაირა ამანათაშვილმა** მადლობა გადაუხადა პატარა სტუმრებს და მათგან პირობა მიიღო, რომ ისინი ახლადრეაბილიტირებული საბავშვო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები გახდებიან. ქალბატონმა ნაირამ ისიც აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა საოცარი სითბო და სიხარული შემოიტანეს ახალ გარემოში. მათთვის სასიამოვნო იყო აღნიშნულ დღეს ბიბლიოთეკაში მოსწავლეების სტუმრობა. ბიბლიოთეკის სივრცე ყოველთვის მზადაა მათთვის ნებისმიერ დღესასწაულსა თუ მნიშვნელოვან დღეებში უმასპინძლოს.

პატარებს მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ, ქალბატონმა **მარიკა თიბილოვმა.** საკუთარი საბავშვო ლექსი წაიკითხა საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომელმა, პოეტმა ქალბატონმა **ნანა გაიხარაშვილმა**. ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა და მასპინძლებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. ბოლოს კი, პატარებს გაერთიანების თანამშრომლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

# ოლიმპიური ცეცხლი საქართველოშია




**ქალაქ რომში „მშვიდობის ცეცხლი"-ს ცერემონია გაიმართა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „ბაკურიანი 2025" ოფიციალურად გაიხსნა.**

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი **სპიროს კაპრალოსი,** საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** ,,ბაკურიანი 2025"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ხაზარელი** და საქართველოს სპორტის მინისტრი **შალვა გოგოლაძე**.

ცერემონიის ფარგლებში სპიროს კაპრალოსმა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების სიმბოლო - ზეთისხილის ხე გადასცა **შალვა გოგოლაძესა** და **ლერი ხაბელოვს**, რის შემდეგაც საზეიმოდ აინთო **„მშვიდობის ცეცხლი."**.

ცერემონიაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ფიგურულ ციგურაობაში 2017 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორმა **ნიკა ეგაძემ** და სამთო-მოთხილამურე **ანასტასია მირიანაშვილმა**.

ზეთისხილის ხის სიმბოლო გამოხატავს თამაშებსა და მშვიდობის სულისკვეთებას შორის ძლიერ კავშირს. ზეთის ხილის ხე საქართველოში ფესტივალის დასრულებამდე დარჩება.რომიდან თბილისში ოლიმპიური ცეცხლი 22 დეკემბერს საღამოს ჩამოიტანეს და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ოლიმპიურ ჩემპიონს, **ლაშა ბექაურს** გადასცეს. ცეცხლი ამ დღიდან საქართველოში იწყებს მოგზაურობას. ,,ბაკურიანი 2025" 9 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში გაიმართება.

„ჩემთვის დიდი პატივია ოლიმპიური ცეცხლის ტარება და დიდი მადლობა ოლიმპიურ კომიტეტს, მე ამომარჩია ამისთვის, რომ ეს ოლიმპიური ცეცხლი შემომეტანა საქართველოში. მინდა ყველა გულანთებულ და მონდომებულ ადამიანს, პირველ რიგში ჩვენს ქართველ სპორტსმენებს წარმატებები ვუსურვო", - განაცხადა ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა **ლაშა ბექაურმა**.

აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდება ევროპაში მერვე ქვეყანა, რომელსაც ჩატარებული ექნება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ორივე მნიშვნელოვანი ღონისძიება - როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სახეობებში.

საქართველოს, ევროპის 48 ქვეყნიდან, ზამთრის სპორტის სახეობების 2000-მდე სპორტსმენი ეწვევა.

## 2024 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი

**გიორგი ტალახაძე** - მასრესლინგი, გინესის რეკორდსმენი;
**დავით გავვა, ილია როსტიაშვილი** - მკლავჭიდი;
**ნოდარ რობაქიძე** - პროფესიული კრივი;
**ნინო პაპიძე, ემანუელა ზელაშვილი** - ძიუდო;
**დიმიტრი ხაჩიძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
**ნოდარ კოზანაშვილი, ოთარ წულეისკირი, ნიკოლოზ გოგოლაძე** - სამთო-სათხილამურო სპორტი;
**ლუკა მიქაბერიძე, საბა ხაჩიძე** - საციგაო სპორტი;
**გიორგი დიაკონოვი, ალან და ესმა ზობოზოვები** - ტრამპლინიდან ხტომა;
**დავით თედიაშვილი, ბექა ბერძენიშვილი, ლაშა კურტანიძე** - სკი კროსი;
**არმენ ავეტისიანი, რიტა პეტროსიანი** - ბიატლონი.

## ჩვენს მკითხველებს!




მიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ „ბორჯომზე" 2025 წლისათვის.

შეგახსენებთ, რომ გაზეთი „ბორჯომი" ერთგულად და ულალატოდ დგას თქვენს სამსახურში. არის თქვენი ერთგული მრჩეველი, მეგობარი და გულშემატკივარი.

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე, გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს" პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში

**ჩვენი მისამართია**: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 555 236 975.

**მოგიწოდებთ, გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი", რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.**

**გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქცია**

**გაზეთ ,,ბორჯომის" შემდეგი ნომერი გამოვა 14 იანვარს**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი